პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 153 (9313)

კვირა 29 ივნისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

მკვეთრი გარდატეხისათვის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ცნობები პურის ფრონტიდან (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).
ა. ავაქოვი — ფართოდ დავნერგოთ შრომის ჩქაროსნული მეთოდები (მე-2 გვერდი).
ნაყოფიერი ქართული ცხვარი (მე-2 გვერდი).
წერილი თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებისაგან (მე-2 გვერდი).
ი. თოლორდავა — სწორად შევარჩიოთ და უკეთესად გამოვიყენოთ კლუბური კადრები (მე-3 გვერდი).
საჩუქრად პოლონელ ხალხს (მე-3 გვერდი).
უცხოეთის დეპეშები (მე-3 და მე-4 გვერდი).

## მკვეთრი გარდატეხისათვის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში

...საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის, დიდი ...ინის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს ...იზმის მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას. სა... მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად განუხრელად ...ბა და ვითარდება საბჭოთა ვაჭრობა — ჩვენი ღვიძ... ...ლშევიკური საქმე. ფართო მოხმარების საქონლისა ...ის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდამ, ...ფიფო საცალო ფასების თანმიმდევრულმა შემცი... უზრუნველყო საქონელბრუნვის შემდგომი გაშლა ...ფართოება.

...ქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ქსელში სამომხ...ბლო კოოპერაციას დიდი ხვედრითი წონა აქვს და ...უშაკებს სერიოზული ამოცანები აკისრიათ. მიუხე...დ ამისა, ცეკავშირის სისტემის კოოპერაციული ორ...ხაციების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანე... და დარღვევანი. მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაცი... გამეფებულმა თვითდამშვიდებამ და თვითკმაყოფი...ამ, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგუ...ბელყოფამ გამოიწვია სამეურნეო-საფინანსო გეგმების ...ესრულებლობა, დიდი დებიტორული დავალიანება, ...ოპერაციული ქონების განიავება-მტაცებლობა.

...მართალია, გასულ წელს სამომხმარებლო კოოპერაციამ ...ცალო საქონელბრუნვის გეგმა 100,1 პროცენტით შეას...ულა, მაგრამ ამ წარმატებასაც ჰქონდა თავისი ჩრდი...ლოვანი მხარე: ცეკავშირში შემავალი კოოპერა...ციული ორგანიზაციების ნახევარზე მეტმა წლიური გეგ...მა ვერ გაანაღდა. წელს კი ცეკავშირის სისტემამ ...გაუარესა მუშაობა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალ...ში გეგმა შესრულებულია მხოლოდ 89,5 პროცენტით, ხოლო მეორე კვარტალის გეგმა ორ თვენახევარში—64,4 პროცენტით, ნაცვლად 83 პროცენტისა.

აღნიშნული ციფრები ცხადყოფენ, რომ ცეკავშირის გამგეობა სუსტად, მოუქნელად მუშაობს, კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს თავის ორგანიზაციებს ადგილებზე. მის საქმიანობაში გამეფებულია თვითდამშვიდება და ბიუროკრატიზმი. ამის შედეგად მთელი რიგი კოოპკავშირები და კოოპერატივები გეგმის შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. მათ რიცხვში არიან: აჭარკოოპკავშირი, აფხაზკოოპკავშირი, სამხრეთ ოსეთის საოლქო კავშირი, გეგეჭკორის, მახარაძის რაიკავშირები. საგარეჯოს, წულუკიძის, ცაგერის, ზუგდიდისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოოპერაციულ ორგანიზაციებში არის საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯების, კოოპერაციული ქონების განიავება-დატაცების შემთხვევები. საერთოდ, ამ უკანასკნელ ხანს ცეკავშირის სისტემაში გაფლანგვა-მტაცებლობა არა თუ არ შემცირებულა, არამედ კიდევაც გაიზარდა. ეს იმას მოწმობს, რომ ამ სამარცხვინო მოვლენის წინააღმდეგ სუსტად იბრძვიან როგორც ცეკავშირის სარევიზიო-საკონტროლო აპარატი, ისე პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოები.

ცეკავშირის გამგეობას, ზოგიერთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ხშირად ,,შეუმჩნეველი'' რჩებათ ვაჭრობის წესების დამახინჯებანი. როგორც ,,კომუნისტის'' კორესპონდენტი გვატყობინებს, გურჯაანის რაიკოოპკავშირში არა მარტო ვერ ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს, არამედ უხეშად არღვევენ ვაჭრობის წესებს. აქ დამახინჯებებს ურიგდებიან. არის უფაქტურო საქონლის გაყიდვის აღმაშფოთებელი ფაქტები. რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ზ. მათიაშვილი, ნაცვლად იმისა, რომ იბრძოდეს ამ მახინჯ მოვლენათა წინააღმდეგ, ხელს აფარებს აშკარა დამნაშავეებს. კადრების შერჩევა-განაწილება ნაცნობ-მეგობრობისა და ძმაბიჭობის მიხედვით ხდება.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო კადრების შერჩევის ნათესაურ და მეგობრულ პრაქტიკას. კადრებს უნდა ვაწინაურებდეთ მუშაკის ცოდნისა და უნარის გათვალისწინებით და არა ნაცნობობის მიხედვით. საჭიროა ძირეულად გარდავქმნათ კადრებთან მუშაობა, გავაძლიეროთ დახლის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. სავაჭრო ორგანიზაციებში სამუშაოდ არ უნდა იღებდნენ შემთხვევით პირებს, რომლებიც პირად ინტერესებს სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებენ.

სერიოზული ნაკლოვანებანი სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში აიხსნება არა მარტო ცეკავშირის გამგეობის სუსტი და მოუქნელი მუშაობით, არამედ სოფლად ვაჭრობის გაუმჯობესებისადმი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უყურადღებობით. პარტიის ზოგიერთმა რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა დაივიწყა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა მარტო ცეკავშირის გამგეობის საქმე არ არის. პარტიის წალენჯიხის, ჩხოროწყუს, საგარეჯოს და სხვა რაიკომები სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას რატომღაც მეორე ხარისხოვან საქმედ თვლიან, ისინი კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ კოოპერაციულ ორგანიზაციებს. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა და რომ ისინი სოფლად ვაჭრობის გარდაქმნისათვის ყოველდღიურად და სისტემატურად უნდა ზრუნავდნენ.

მშრომელთა დეპუტატების ბევრი რაიონული საბჭოს აღმასკომი არასაკმაოდ მუშაობს სოფლად ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის, ხშირად კარგი დადგენილებები გამოაქვს, მაგრამ მათი შესრულებისათვის ნაკლებად ზრუნავს. თვით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო საჭირო სერიოზულობით არ სწავლობს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ანგარიშს არ უწევს მშრომელთა წინადადებებსა და სურვილებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელში გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ადგილებზე ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ სასტიკად ისჯებოდეს ყველა ის, ვინც ხელყოფს კოოპერაციულ საკუთრებას და ძირს უთხრის სამომხმარებლო კოოპერაციას, საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ გაფლანგვები მთლიანად აღვკვეთოთ. საჭიროა აგრეთვე სპეკულაციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა. პარტია მოითხოვს თავისი ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან გადამჭრელ ღონისძიებებს სპეკულაციის სრული ლიკვიდაციისათვის.

ამოცანა ის არის, რომ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად, სისტემატურად ზრუნავდნენ სოფლად ვაჭრობის გასაუმჯობესებლად, მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა სწრაფად უნდა დააღწიონ თავი სერიოზულ ნაკლოვანებებს, ფართოდ გააჩაღონ თვითკრიტიკა და კრიტიკა ქვემოდან, არ დაუშვან სოციალისტური ქონების განიავება-მტაცებლობა.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი გადაუდებელ ამოცანად გვისახავენ გადაჭრით გავაუმჯობესოთ სოფლად ვაჭრობის საქმე, ავიყვანოთ იგი ახალი, გადიდებული ამოცანების დონემდე.

# საბჭოთა საქართველოში

## ახალი მოსავლის პირველი პროდუქცია

**გორი.** (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხანამ სეზონი დაიწყო. უკვე გამოშვებულია 30.000-ზე მეტი ცალი ქილა ბლის კომპოტი და 15.000-ზე მეტი ცალი ქილა მურაბა. დაწყებულია აგრეთვე კაკლის გადამუშავება სამურაბედ. ქარხანა წელს პირველად გამოუშვებს ბლის ჯემს. დიდი რაოდენობით დამზადდება ბლის, ატმის, მსხლის, კომშის, ქლიავის მურაბები და კომპოტები, აგრეთვე ბოსტნეულის კონსერვი. სულ წელს ქარხნის კოლექტივი 50-მდე სხვადასხვა სახის პროდუქციას გამოუშვებს.

სეზონის დაწყების პირველ დღესვე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს მთავარი საამქროს სტახანოველმა მუშებმა მელანო მეჩიტაშვილმა, მარიამ ბარიშვილმა, ელენე მახარობლიძემ, ჟუჟუნა ბერიძემ და მაშო შატაკიშვილმა.

წელს გამოშვებულ იქნება შარშანდელზე ორი მილიონით მეტი ქილა საკონსერვო ნაწარმი. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ქარხნის კოლექტივს და ხილის დამამზადებელ ორგანიზაციებს. რაიონში ხილი საკმაო რაოდენობით არის, შესაძლებელია გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება. საჭიროა მხოლოდ საქკონსერვტრესტის გორის დამზადების კანტორის კოლექტივის მოქნილი მუშაობა და გასული წლის ნაკლოვანებების თავიდან აცილება.

## დღის სინათლის ნათურები შახტებში

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ყოველდღიურად უმჯობესდება ტყიბულელ მეშახტეთა შრომის პირობები. შახტებში სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ინერგება ახალი სამთო მექანიზმები, რომლებიც აადვილებენ მეშახტის შრომას. მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა სანგრევში მუშაობის დროს გამოყოფილი მტვრის სალიკვიდაციოდ.

შახტებმა დიდი რაოდენობით მიიღეს დღის სინათლის ელექტრონათურები. სტალინის სახელობის შახტში ამ ელექტრონათურებით გაანათეს საველე შტრეკები. ლენინის სახელობისა და მოლოტოვის სახელობის შახტებში დღის სინათლის ელექტრონათურებით გაჩირაღდნებულია 920 გრძივი მეტრი ძირითადი სამთო გამონამუშევრები.



სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა. **სურათზე:** ნოვატორი ხარატი ვახტანგ ბაისონაშვილი, რომელმაც საწარმოში პირველმა დაიწყო მძიმე დეტალების — ვაგონის გოგორწყვილების ჩქაროსნული მეთოდით დამუშავება და ამით ორჯერ გაზარდა ოთხსუპორტიანი სახარატო ჩარხის წარმადობა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## მეცემენტეთა ნარმატება

**კასპი.** (საკ. კორ.). საქართველოს მეცემენტეები თავდადებით იბრძვიან დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის და შიდასაწარმოო რესურსების მაქსიმალურად გამოყენების გზით ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ერთი კვირით ადრე შეასრულა ნახევარი წლის საწარმოო გეგმა.

ცემენტის გამოშვების ნახევარი წლის გეგმის ვადაზე ადრე შესრულებით თავი ისახელეს მეწისქვილე მუშებმა ვ. მზარეულიშვილმა, ს. ბერიშვილმა, აგრეთვე იმ ცვლებმა, რომლებსაც ა. პავლიაშვილი და ი. ვასილიევი ხელმძღვანელობენ. ქარხნის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ცემენტი გამოუშვას.

## მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატები

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ქუთაისტყიბულის რკინიგზის პროფილი დიდ დაკვირვებას და ოსტატობას მოითხოვს ელმავლის თვითეული მემანქანისაგან. ქუთაისის საელმავლო დეპოს ჰყავს ბევრი წარჩინებული მემანქანე, რომლებიც ქუთაის-ტყიბულის ხაზზე შეუფერხებლად დაატარებენ მძიმე წონის მატარებლებს.

ამ დღეებში დეპომ თბილისიდან მიიღო კაპიტალურად შეკეთებული ელმავალი. მას მეელმავლედ მიამაგრეს კომკავშირელი გივი ქასრაშვილი. ახალგაზრდა მემანქანემ უკვე სამჯერ ჩამოიყვანა ტყიბულიდან ქვანახშირით დატვირთული მატარებელი და ზუსტად დაიცვა ტექნიკური ექსპლოატაციის წესები.

მძიმე წონის მატარებლის ტარების ცნობილი ოსტატები არიან ო. მელაძე და ა. ტყაბლაძე. მელაძემ ივნისის ოც დღეში გეგმის გადამეტებით 761 ტონა ტვირთი გადაზიდა.

მეელმავლეთა მაღალნაყოფიერი მუშაობა დიდად უწყობს ხელს დეპოს მთელი კოლექტივის საწარმოო მაჩვენებლების ზრდას. დეპომ სადღეღამისო გარბენის 5 თვის გეგმა 113 პროცენტით შეასრულა, ტექნიკური სიჩქარე 2 საათით გაზარდა, ამასთან დაზოგა ათასობით მანეთის საწვავი, ელექტროენერგია და სხვა მასალა. ქუთაისელი მეელმავლეები წარმატებით ასრულებენ რკინიგზელის სტალინური დღისათვის ნაკისრ ვალდებულებებს.

## კინოსეანსები სოფლად

**ქობულეთი.** („კომუნისტის“ კორ). რაიონის ყველა სასოფლო ცენტრში, საბჭოთა მეურნეობასა და საწარმოში მოწყობილია და შეუფერხებლად მუშაობს სტაციონარული კინოდანადგარები. სოფლის მოსახლეობას ემსახურება აგრეთვე ოთხი მოძრავი კინოდანადგარი.

მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში სოფლებში მოეწყო 963 კინოსეანსი. მაყურებელთა რაოდენობამ 54.700-ს გადააჭარბა. მოსახლეობის კინომომსახურების მხრივ ქობულეთის კინოგანყოფილება მოწინავეა აჭარის ასს რესპუბლიკაში.



## ცნობები პურის ფრონტიდან

## უხვი მოსავალი

**წითელწყარო.** (ტელეფონით, სპეც. კორ.). წითელწყაროელი კოლმეურნეები პურეულის უხვ მოსავალს იღებენ. დღითიდღე ძლიერდება მოსავლის აღების ტემპი. 27 ივნისს წითელწყაროს მტს-ის 19 კომბაინი იღებდა მოსავალს. ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება კომბაინერთა შორის. მოწინავე კომბაინერები იბრძვიან მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. კომბაინერმა გ. შანშიაშვილმა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 27 ივნისს 5 საათში 5 ჰექტარზე აიღო ხორბალი. იგი იბრძვის იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით 80 ჰექტარზე აიღოს მოსავალი. ამ კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 24 ცენტნერ ხორბალს იღებენ. კომბაინერმა ა. სეხნიაშვილმა ორ დღეში მოსავალი 24 ჰექტარზე აიღო.

საუკეთესო მოსავალია სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში. უდანაკარგოდ იღებენ ხორბალს საწარმოო ბრიგადები, რომლებსაც დ. ყოჩიაშვილი, ი. ლეკაშვილი და ნ. გომელაური ხელმძღვანელობენ. ამ კოლმეურნეობის ნაკვეთებზე მოსავალს იღებენ კომბაინერები ა. მენთეშაშვილი, ა. ბეგიაშვილი და გ. დოლიძე. მათ მოსავალი უკვე აიღეს 70 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 32 ცენტნერი ქერი, ზოგიერთ ნაკვეთზე კი — 42 ცენტნერი.

წითელწყაროელი კოლმეურნეები, რომლებიც ხორბლის უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები არიან, ორგანიზებულად შეუდგნენ ხორბლის მკას. 28 ივნისისათვის მოსავალი აღებული იყო 1.000 ჰექტარზე.

კოლმეურნეობები პირველ განალეწ ხორბალს სახელმწიფოს აბარებენ.

## ლაპარაკობენ კომბაინერები

### შეჯიბრებაში ვიწვევ ენისლელ კომბაინერს ნ. მეტრეველს

ათი წელია კომბაინერად ვმუშაობ. ყოველ წელიწადს წარმატებით ვიღებ პურეულის მოსავალს. შარშან დამავალეს მოსავალი ამეღო ყვარლის რაიონში. იქ მუშაობა რომ დავიწყე, გავეცანი ენისლის მტს-ის კომბაინერს ნ. მეტრეველს. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამომიწვია. მუშაობის დამთავრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მე აღებული მქონდა 507 ჰექტარი, ხოლო ნ. მეტრეველს 456 ჰექტარი. წელს ვიმუშავებ სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და ვალდებულება მაქვს ნაკისრი მოსავალი ავიღო 700 ჰექტარზე. სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ ვიწვევ ენისლელ კომბაინერს ნ. მეტრეველს.

ჩვენი აგრეგატი გასულია მინდვრად. მეშტურვალედ არის გ. ლეგაშვილი, ტრაქტორისტად ყ. ობოლაშვილი, გამოყოფილია მწონავი და აგრეგატის მომსახურებისათვის 14 კოლმეურნე. კომბაინი უზრუნველყოფილია მარცვალმჭერებით, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, შეუფერხებლად მუშაობისათვის მომარაგებული მაქვს საჭირო სათადარიგო ნაწილები, მოვაწყობ სადღეღამისო მუშაობას. პურეულის ნაკვეთები წინასწარ დავათვალიერე. სადაც პური უფრო ჩაწოლილია, იქ დღისით ავიღებ, ხოლო ნორმალურ ყანებს ავიღებ ღამით. მზად ვარ საათობრივი გრაფიკით მუშაობისათვის.

სიტყვას ვიძლევი პურეულის მოსავალი ავიღო მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ.

**ალექსი ათაბეგაშვილი,**
ბადიაურის (ცაჭრეთის რაიონი) მტს-ის კომბაინერი.

### „კომუნარით“ — 550 ჰექტარი

ამ დღეებში პურეულის მკას შეუდგებიან ველის ხომალდები. კომბაინ „კომუნარით“ მოსავალს ავიღებ სოფელ არაშენდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. შარშან მოსავალი ავიღე 453 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 290 ჰექტარისა. წელს კი ვალდებულება ვიკისრე მოვმკა 550 ჰექტარი.

აგრეგატი კარგად არის დაკომპლექტებული, კომბაინი მოვამზადე ჩაწოლილი პურის ასაღებად. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მივაქციე კომბაინის მჭრელი აპარატის წესიერად მომზადებას. ჩაწოლილი პურის ასაღებად ხედერს გავუკეთე დამატებითი მოწყობილობა, ვამცირებ ხედერის მოდების სიგრძეს და ხედერს დაბლა ვუშვებ დაახლოებით 10 სანტიმეტრზე, ამავე დროს ტარაზუა დავაყენე მჭრელი აპარატის უფრო წინ. გათვალისწინებული მაქვს ისიც, რომ შემდგომში ტარაზუა დავაყენო იმის მიხედვით, თუ როგორი ჩაწოლილი პურის ნაკვეთთან გვექნება საქმე.

მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი წელს ახალ წარმატებას მივაღწიო სოციალისტურ შეჯიბრებაში კომბაინერ ნ. ფრიდონაშვილთან, რომელიც ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“-ით იმუშავებს.

**ალექსი ქიტოშვილი,**
ცაჭრეთის მტს-ის კომბაინერი

## იაკუტიის ასსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 27 ივნისის ბრძანებულებით იაკუტიის ასსრ ოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების იმ მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

**ლენინის ორდენით** დაჯილდოებულია 3 კაცი; **შრომის წითელი დროშის ორდენით** — 27 კაცი; **„საპატიო ნიშნის“ ორდენით** — 79 კაცი; მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 54 კაცი; მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 42 კაცი. (საკდესი).

# სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

## ი. ბ. სტალინის სახელობის წყალსაცავის მშენებლობა ბულგარეთში

**სოფია,** 26 ივნისი. (საკდესი). ფართოვდება მუშაობა ბულგარეთში სოციალიზმის მშენებლობაზე — ი. ბ. სტალინის სახელობის წყალსაცავის აგებაზე. ეს წყალსაცავი 700 მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაიტევს. იგი ბულგარეთში ყველაზე დიდი წყალსაცავი იქნება, მორწყავს 65.000 ჰექტარ მიწას, ე. ი. სოფიის მთელ ვაკეს. ამ წყალსაცავის საექსპლოატაციოდ გადაცემით მთლიანად გადაიჭრება ბულგარეთის დედაქალაქის—სოფიის წყლით უზრუნველყოფის პრობლემა.

ახლა აქ უკვე დამთავრდა ყველა დამხმარე ნაგებობის მშენებლობა. ქვის კარიერებიდან გაყვანილია რკინიგზის ხაზი მშენებლობის ადგილამდე. დამთავრდა მოწყობილობის მონტაჟი ბეტონის ქარხანაში. მთებში წარმატებით გაჰყავთ 5,5 კილომეტრი სიგრძის წყალსაწნევი გვირაბი.

ი. ბ. სტალინის სახელობის წყალსაცავის მშენებლობაზე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სამშენებლო ობიექტების ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

## მშენებლობა მდინარე ხუაიხეზე

**პეკინი,** 25 ივნისი. (საკდესი). მდინარე ხუაიხეს დამმორჩილებელი კომიტეტის მდივანი უ ძი-იუე ამბობს:

ხუაიხეზე მშენებლობის პირველ ორ წელს დასახული გვქონდა ამოცანა ეს რაიონი გადაგვერჩინა წყალდიდობისაგან და ძირითადად გადაგვეჭრა მორწყვის პრობლემა. ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა, ხუაიხეზე მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო მთელმა ჩვენმა ქვეყანამ. აქ მუშაობდნენ შანხაელი, ნანკინელი, მუკდენელი, პეკინელი და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ქალაქებიდან ჩამოსული მექანიკოსები, ელექტროშემდუღებლები, ზეინკლები, დურგლები და მემონტაჟეები. ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის, გუანდუნის პროვინციისა და შიდა მონღოლეთის მუშები ამზადებდნენ მოწყობილობას მშენებლობებისათვის.

ხუაიხეს აუზში აშენდება 38 წყალსაცავი, რომლებიც 20 მილიარდზე მეტ კუბურ მეტრ წყალს დაიტევენ. მდინარის ზემო წელში უკვე აგებულია სამი დიდი წყალსაცავი. მიმდინარეობს სამი სხვა წყალსაცავის მშენებლობა. შუაწელში აშენებულია ჩინეთის უდიდესი წყალსაცავი, რომელიც 5.800 მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაიტევს.

ამა წლის აპრილში ძირითადად დამთავრდა მშენებლობა მთავარი სარწყავი არხისა ხუნძეხუს ტბიდან პუნქტ დიანდანაიმდე ყვითელი ზღვის სანაპიროზე. 1.300 ათასი კაცი მონაწილეობდა ამ მშენებლობაში, მათ შეასრულეს 73 მილიონამდე კუბური მეტრი მიწის სამუშაო. არხის სიგრძეა 170 კილომეტრი, სიღრმე —5-6 მეტრი. არხის ერთ-ერთ ჯებირზე, რომლის სიგანე 30 მეტრს უდრის, გზატკეცილი გაივლის. ჯებირების ორივე მხარეს დარგულია ხეხილი.

დიდი წყალდიდობისაგან არხისა და მისი მთავარი კაშხალების დასაცავად პარალელურად გათხრილია 30 მეტრი სიგანისა და ორი მეტრი სიღრმის მეორე არხი. ამრიგად, 6 თვეში გადაჭრილი იქნა ჩრდილოეთ ძიანსუში რწყვის პრობლემა, აგრეთვე პრობლემა წყალდიდობათა ლიკვიდაციისა, რომლებიც აქამდე საუკუნეთა განმავლობაში ვერ დაეძლიათ.

ახლა მთავრდება მშენებლობა ორი კაშხალისა წყალსაშვები რაზებით—ერთია ხუნძეხუს ტბასთან, მეორე კი—დიდი არხის აღმოსავლეთ ნაპირზე დაბა იუნდუნში.

ხუაიხეს დამორჩილების სამუშაოთა მთელი გეგმის 1955 წელს დამთავრებით საუცხოო პერსპექტივები იქმნება ჩვენი ქვეყნის ამ რაიონის განვითარებისათვის. წყალს მიიღებს 25.800 ათასი მუ მიწა ჩრდილოეთ ძიანსუში და 20 მილიონზე მეტი მუ მიწა მდინარის შუა და ზემოწელში. ხუაიხეს ქვემო 28 მთავარი შენაკადი სანაოსნო გახდება. ჩვენი ქვეყანა მიიღებს ორი ათას კილომეტრზე მეტ ახალ სანაოსნო გზებს.

## მძლავრი თბოელექტროცენტრალის აგება ვარშავაში

**ვარშავა.** პოლონეთის დედაქალაქის მზარდი მრეწველობა სულ უფრო მეტ ელექტროენერგიას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით ვარშავის ახალ სამრეწველო რაიონში — ჟერანში დაიწყო თბოელექტროცენტრალის მშენებლობა, რომელიც თავისი სიმძლავრით პირველი იქნება პოლონეთში და ერთ-ერთი უდიდესი ევროპაში.

თბოელექტროცენტრალი არა მარტო ელექტროენერგიასა და ორთქლს გამოიმუშავებს მრეწველობის საჭიროებისათვის, არამედ ცხელ წყალსაც მიაწვდის ვარშავის მოსახლეობას გათბობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

პოლონეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ექვსწლიანი გეგმის დამთავრებისას ვარშავაში დაიწყება სხვა ელექტროცენტრალების აგება. („იზვესტია“).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

## მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ კასპისა და გორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებსა და გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში

ამას წინათ შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მოისმინა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის საკითხი კასპისა და გორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებსა და გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში და კასპის სადაბო და კასპის რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა მოუწესრიგებელია, უხეშად ირღვევა მათი განხილვის ვადები, ხშირია განცხადებებისა და საჩივრების განხილვის გაჭიანურების, პასუხის გაცემის დაგვიანებისა და პასუხის სრულიად გაუცემლობის შემთხვევები.

კასპის რაისაბჭოს აღმასკომს 1951 წელს და 1952 წლის 4 თვეში მიღებული 514 განცხადებიდან პასუხი არ გაუცია 161 განცხადებაზე. აღმასკომის მიერ 1951 წელს გაგზავნილი 145 პასუხიდან 1 თვეზე მეტის დაგვიანებით პასუხი აცნობეს 81 განმცხადებელს, ხოლო 1952 წელს გაგზავნილი 19 პასუხიდან — 16 განმცხადებელს. მაგალითად, მოქ. ჯანაშვილს, რომლის განცხადებაც კასპის რაისაბჭოს აღმასკომმა 1951 წლის აპრილში მიიღო და რომელიც განხილულ იქნა 1951 წლის 28 მაისს, პასუხი გაეგზავნა მხოლოდ 1952 წლის თებერვალში, ე. ი. თითქმის 10 თვის შემდეგ.

ასევე დაგვიანებით აცნობეს პასუხი მოქალაქე მაზმიშვილს, რომელმაც 1951 წ. 16 ივლისს მიმართა განცხადებით კასპის რაისაბჭოს აღმასკომს, ხოლო პასუხი 1952 წლის თებერვალში, ე. ი. 7 თვის შემდეგ აცნობეს. ასეთი შემთხვევები კასპის რაისაბჭოს აღმასკომში, მის განყოფილებებში, კასპის სადაბო საბჭოს აღმასკომში მრავალია.

კასპის რაისაბჭოს აღმასკომს 1951 წელს სრულიად არ განუხილავს 33 განცხადება, ხოლო მიმდინარე წლის 1 მაისამდე — 6 განცხადება.

კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში და მის განყოფილებებში არის მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დაკარგვის ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტები.

მაგალითად, კასპის „მმაჩის“ განყოფილებაში დაიკარგა მოქალაქე კუდუხაშვილის განცხადება, რომელიც იქ აღმასკომის თავმჯდომარის რეზოლუციით იქნა გადაგზავნილი (თხოულობდა დაბადების მოწმობის გადაგზავნას).

სულ 1951 წელს და 1952 წლის 1 მაისამდე აღმასკომში დაკარგულია 9 განცხადება.

აღმასკომში შემოწმებისას ვერ იქნა ნახული 1951 წლის 19 თებერვალს შესული განცხადება მოქალაქე შ. მათირიშვილისა, რომელიც თხოულობდა ცნობის გადაგზავნას, რომ იგი მუშაობდა კასპის რაიონში. ეს განცხადება, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას გადაეგზავნა, აღმასკომმა იპოვნა მხოლოდ 1952 წლის ივნისში, მას შემდეგ, რაც იგი ცნობილ იქნა დაკარგულად. განმცხადებელს კი პასუხი გაეგზავნა 1952 წლის ივნისში, ე. ი. 16 თვის შემდეგ.

კასპის რაისაბჭოს აღმასკომში დამკვიდრებული იყო ზემდგომი ორგანოებისათვის პასუხის დაგვიანებით გაგზავნის ან სრულიად გაუგზავნელობის პრაქტიკა. მაგალითად, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასჭირდა ორი მიმართვისა და ერთი დეპეშის გამოგზავნა იმისათვის, რომ კასპის რაიაღმასკომისაგან 3 თვის შემდეგ მიეღო პასუხი მოქალაქე ილურიძის განცხადების გამო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 1 მაისამდე კასპის რაიაღმასკომისაგან პასუხი არ ჰქონდა მიღებული მოქალაქე ბეგლარიშვილის განცხადებაზე, რომელიც აღმასკომს გადაეგზავნა 1952 წლის 5 იანვარს და რომლის განხილვაც დამთავრდა 28 თებერვალს.

სულ 1951 წელს კასპის რაისაბჭოს აღმასკომმა ზემდგომ ორგანოებს 2 თვისა და მეტის დაგვიანებით აცნობა პასუხი 11 განცხადებაზე 25 განცხადებიდან, ხოლო 1952 წელს 6 განცხადებაზე 11 განცხადებიდან. არ უცნობებია პასუხი 1951 წელს და მიმდინარე წლის 1 მაისამდე 4 განცხადებაზე. კასპის რაისაბჭოს აღმასკომში არ არსებობს აღმასკომიდან გაგზავნილი შეკითხვებისა და მოთხოვნების შესრულების კონტროლი. ამის გამო აღმასკომს 1951 წელს და 1952 წელსაც განყოფილებებსა და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში გადაგზავნილ უმრავლეს განცხადებაზე არ მიუღია პასუხი, რის შედეგადაც საშუალება არა აქვს აცნობოს პასუხი განმცხადებლებს და არც იცის, თუ რა გადაწყვეტილებაა მიღებული ამა თუ იმ განცხადების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის გაჭიანურების, პასუხის დაგვიანებით გაცემისა და უყურადღებოდ დატოვების, აგრეთვე ზემდგომი ორგანოებისათვის პასუხის დაგვიანებით შეტყობინების ფაქტები არის გორის რაისაბჭოს აღმასკომში. მაგალითად, გარკვეული არ არის, თუ რა ბედი ეწიათ აღმასკომში 1951 წელს შესულ მოქ. კობლიანიძის, მელაშვილის, გაბარაშვილის, კარელიძის და სხვების განცხადებებს.

სრულიად უპასუხოდ არის დატოვებული ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში შესული მოქ. მანქელაშვილის, სალუქვაძის, ჯანეზაშვილის განცხადებები.

აღმასკომმა არ იცის შედეგი მის მიერ 1951 წლის 4 ივნისს ბერშუეთის კოლმეურნეობის გამგეობისათვის გაგზავნილ უსახელო განცხადებისა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეობის საწყობის გამგეს სხვადასხვა პროდუქტები აკლდა. შემოწმების შედეგად განცხადებაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა და აღმასკომმა კოლმეურნეობის გამგეობას დაავალა ზომების მიღება (საწყობის გამგის მიერ დანაკლისის დაფარვა ან მისი პასუხისგებაში მიცემა). განცხადებაზე აღმასკომისათვის პასუხი უნდა ეცნობებინათ 1951 წლის 20 ივნისისათვის, მაგრამ კოლმეურნეობას პასუხი არ გამოუგზავნია და აღმასკომიც აღარ დაინტერესებულა ამით.

მიუხედავად იმისა, რომ გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ წიგნში, მათი განხილვა და პასუხის გაცემა, საერთოდ დროზე ხდება. მაინც არის ცალკეული დარღვევები.

სახელდობრ, არ შემოწმებულა და არც გადაწყვეტილებაა მიღებული აღმასკომში 1952 წლის 20 თებერვალს შესულ უსახელო განცხადებაზე, რომელშიც ინდივიდუალური ბინათმშენებელნი უჩიოდნენ ქალაქის საარქიტექტურო სამმართველოს.

დაუდევრად არის შედგენილი აღმასკომის მიერ დაბეჭდილი მიმართვების სტანდარტული ბლანკები. პასუხს რუსულ ენაზე აძლევენ უცოდინრად და დამახინჯებულად.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გორის და კასპის რაიონულ და გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომებს წელს თავიანთ სხდომებზე არ განუხილავთ საკითხი, თუ როგორ არის დაყენებული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა მათს განყოფილებებში და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში.

შემოწმებულ აღმასკომებსა და მათს განყოფილებებში ცუდად არის დაყენებული მთხოვნელთა მიღება. აღმასკომები საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-შემოწმების საქმეში სრულებით არ იყენებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კასპისა და გორის რაიონების და ქალაქ გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაავალა უმოკლეს დროში აღმოფხვრან მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში არსებული ნაკლოვანებანი, ძირეულად გარდაქმნან მუშაობა ამ მიმართულებით; მოაწესრიგონ რაიონული საბჭოების აღმასკომების განყოფილებებში და სასოფლო საბჭოებში განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა და დროზე აცნობონ განმცხადებლებს საჩივრებისა და განცხადებების გამო მიღებული გადაწყვეტილებანი; უზრუნველყონ განცხადებებისა და საჩივრების აუცილებელი განხილვა კანონით დადგენილ ვადებში (არაუგვიანეს 7 დღისა საბჭოთა ორგანოების განცხადებებისა და 30 დღისა დანარჩენი განცხადებებისა); სისტემატური კონტროლი გაუწიონ აღმასკომების განყოფილებათა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობას მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში, აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ განყოფილებათა გამგეებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოხსენებანი აღნიშნულ საკითხზე; მკაცრი პასუხი მოსთხოვონ თანამდებობის პირებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდებიან განცხადებებისა და საჩივრების განხილვას; გააუმჯობესონ მოქალაქეთა მიღება რაიონული საბჭოების აღმასკომებში და აღმასკომების განყოფილებებში.

კასპის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. მერებაშვილი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმისადმი უპასუხისმგებლო და უსულგულო დამოკიდებულებისათვის მოხსნილ იქნა სამუშაოდან, ხოლო გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ნ. ჩუბინიშვილს და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ზ. თავზარაშვილს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებული დარღვევების გამო გამოეცხადათ საყვედური.

## წერილი თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებისაგან

თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებისაგან მიიღო წერილი, რომლითაც მშენებლები ინსტიტუტის კოლექტივს (ინსტიტუტის ხელმძღვანელი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჯიმშელეიშვილი) მხურვალე მადლობას უძღვნიან თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკვლევ სამუშაოთა შესრულებისათვის.

— გთხოვთ კვლავაც არ მოგვაკლოთ, — სწერენ მშენებლები, — დახმარება და განაგრძოთ მუშაობა მსოფლიოში ამ უდიდესი სარწყავი სისტემის ცალკე კვანძთა მშენებლობის გასაადვილებელი მეთოდების გამოსანახავად. საქართველოდან ჩვენთან ჩამოტანილ ყოველ ტექნიკურ სიახლეს წარმატებით ვნერგავთ და მომავალშიც დავნერგავთ. ამასთან გთხოვთ დაამუშაოთ კიდევ რამდენიმე, ჩვენი მშენებლობისთვის გადაუდებელი საკითხი. ერთ-ერთი ასეთი საკითხია რკინაბეტონის მილების მასობრივად დამზადების უზრუნველსაყოფად ახალი ტექნოლოგიის გამომუშავება დაორთქვლისა და წინასწარი ჰიდრატაციის წესით. გარდა ამისა, გთხოვთ ითავოთ საკითხის გარკვევა და შეუდგეთ კვლევას ბეტონის ხსნარში კირქვის გამოყენების შესაძლებლობის დასადასტურებლად, რასაც ჩვენი მშენებლობის პირობებში უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლები განსაკუთრებით მადლობელნი ვართ იმ დიდი ყურადღებისა და დახმარებისათვის, რომელსაც ჩვენს დიად მშენებლობას უწევენ საქართველოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობა, რაც წარმოადგენს ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის ახალ გამოვლინებას.

## მოსკოვის უნივერსიტეტისათვის

მოსკოვში, ლენინის მთაზე, მალე დამთავრდება მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი შენობის აგება. სტუდენტები შეუდგებიან სწავლას ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში. უნივერსიტეტის მშენებლებმა გასულ წელს თბილისის ჰიდრომეტრიული ხელსაწყოების ქარხანას შეუკვეთეს მთელი რიგი ხელსაწყოები.

თბილისური მარკის 424 ხელსაწყო უკვე მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტმა სასწავლო ლაბორატორიების უზრუნველსაყოფად სტუდენტთა საგნობრივი სწავლებისათვის.

თბილისური მარკის აქტინომეტრები, პირამომეტრები და მზის რადიაციის შემსწავლელი, მზის სითბოს ბალანსის გამომყვანი სხვა ხელსაწყოები დაეხმარება მოსკოველ სტუდენტებს მეცნიერების დაუფლებაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელდარის საბჭოთა მეურნეობის ნაზმატყლიანი ქართული ცხვრის ფარა.
ფოტო [illegible] დეკანოსიძისა და [illegible]

# ნაზმატყლიანი ქართული ცხვარი

საქართველოს სსრ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ელდარის საბჭოთა მეურნეობაში (წითელწყაროს რაიონი) საჯიშე საქმის ზოოტექნიკოსის ამხ. ივანე ბაძოშვილის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით გამოყვანილია ახალი ქართული ჯიშის ნაზმატყლიანი და დუმიანი ცხვარი.

მოწინავე საბჭოთა სპეციალისტმა ამხ. ბაძოშვილმა 15 წლის წინათ საბჭოთა მეურნეობაში ხელი მოჰკიდა ადგილობრივი თუშური ცხვრის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. მან საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ მოაწყო მერინოსებისა და თუშური ცხვრის შეჯვარება. ამ მიზნით გამოიყენა მეურნეობაში როსტოვის ოლქიდან შემოყვანილი 140 ყოჩი. პირველსავე წელს 12 ათას სულზე მეტი შეჯვარებული ბატკანი მიიღეს. ყოველწლიურად გრძელდებოდა მეტისების ერთმანეთთან შეჯვარება და უკეთეს ეგზემპლარების შერჩევა, რათა საბოლოოდ მიღწეული ყოფილიყო ყოველმხრივ მისაღები ნიშანთვისების ცხვრის გამოყვანა. პირველ წლებში მიღებულ მეტისებს ახასიათებდათ ნახევრად მქისე მატყლი, შემდეგ წლებში ამავე მეტისების ერთმანეთთან შეჯვარებით მიღებულებს — ნახევრად ნაზი, ხოლო ამ უკანასკნელთა მეტისებს — ნაზი მატყლი.

საბჭოთა მეურნეობაში ყოველწლიურად ათეულ ათასობით მეტისებს აჯვარებდნენ ერთმანეთს.

რა თვისებები ახასიათებს ელდარელთა მიერ გამოყვანილი ახალი ქართული ჯიშის ცხვარს? — 8-8,5 სანტიმეტრის სიგრძის, ელასტიკური, მერინოსის ჯიშის დამახასიათებელი თვისების რბილი მატყლი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობაში მაღალხარისხოვანი ქსოვილების მისაღებად.

ახალი ჯიშის თვითეული ცხვარი თუშურთან შედარებით დაახლოებით ერთი კილოგრამით მეტ მატყლს [illegible]ლევა, ანუ — 3,5 კილოგრამამდე, ყო[illegible] — 4,5 კილოგრამამდე.

გარდა ამისა, ახალი ჯიშის ცხვა[illegible] თუშურთან შედარებით 15-დან 30-მ[illegible] კილოგრამით, ზოგი კი ბევრად მე[illegible] იწონის, ამასთან იგი მაგარჩლიქებ[illegible]ნია, მაგარი აგებულებისა და ამტანი.

ახალ ჯიშს ახასიათებს თუშურ[illegible] ცხვრისებრი დუმა, რასაც სხვა დი[illegible] ღირსებებთან ერთად მნიშვნელობა აქ[illegible] შორ მანძილზე, განსაკუთრები[illegible] უწყლო ადგილებში მგზავრობის ამტანობაში.

ახალი ქართული ცხვრის ჯიშისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეტი მომრავლების უნარსაც — ყოველი 100 ცხვარი წლიურად 110-118 ბატკანს იძლევა, ე. ი. თუშურთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტს, ამასთან მას მერძეულობაც დაახლოებით 10 პროცენტით მეტი აქვს.

ახალ ჯიშს ბევრი სხვა კარგი თვისებაც ახასიათებს. ყოველივე ეს ამას წინათ ადგილზე შეისწავლა და დაადასტურა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ლ. გრებენი.

ამჟამად ელდარის საბჭოთა მეურნეობაში ახალი ქართული ჯიშის ნაზმატყლიანი ცხვრის რაოდენობა 8.000 სულს აღემატება. გადაწყვეტილია წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს სანაშენოდ მიეცეს 2.000-მდე სული ახალი ჯიშის ყოჩი.

ახალი ჯიშის ნაზმატყლიანი ცხვარი ჩვენი სოფლის მეურნეობის დიდი შენაძენია. ამ საქმეში ზოოტექნიკოს ამხ. ბაძოშვილთან ერთად ნაყოფიერად იმუშავეს ფერმის გამგემ ამხ. ივანე ჩარაშვილმა და სხვებმა.

ახალი ქართული ჯიშის ცხვარი ფართოდ უნდა გავავრცელოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ტ. თოდრაძე.

# თივის აღება და სილოსის დამზადება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით კოლმეურნეობებში 25 ივნისისათვის გათიბული იყო 25.101 ჰექტარი ბუნებრივი ბალახი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 13,2 პროცენტით.

თბილისის ოლქში გათიბულია 24.977 ჰექტარი (გეგმის 18,4%), ქუთაისის ოლქში — 19 ჰექტარი (0,1%), აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 33 (1%), აჭარის ასს რესპუბლიკაში — 22 (0,2%), სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 50 ჰექტარი (0,3%).

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 25 ივნისისათვის 27.887 ტონა საკვები დაასილოსეს, გეგმა 10 პროცენტით შეასრულეს, აქედან თბილისის ოლქში დასილოსებულია 27.758 ტონა საკვები (გეგმის 14,9%), აჭარის ასს რესპუბლიკაში — 129 ტონა (1,7%).

საკვების დასილოსება არ დაუწყიათ ქუთაისის ოლქის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს.

ეკონომიურ თემაზე

# ფართოდ დავნერგოთ შრომის ჩქაროსნული მეთოდები

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ თბილისის პარტიულ კონფერენციაზე სამრეწველო საწარმოებისა და კერძოდ მანქანათმშენებელი ქარხნების ხელმძღვანელთა წინაშე დააყენა საკითხი, რომ საწარმოო გეგმები განუხრელად სრულდებოდეს ყველა იმ მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც საწარმოთა მაღალნაყოფიერ და რენტაბელურ მუშაობას ახასიათებენ.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ პასუხსაგებ ამოცანას რესპუბლიკის ყველა საწარმო უნდა ასრულებდეს და კიდევაც შეასრულებს. ამისათვის კი საჭიროა გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე შევისწავლოთ თვითეული საწარმოს შესაძლებლობა, ისე მოვაწყოთ საწარმოო პროცესი, რომ თავიდან აცილებულ იქნას ყოველთვიური იერიშობანა და სავსებით ბუნებრივ მოვლენად გადაიქცეს ქარხნის თვითეული კოლექტივის მიერ საწარმოო გეგმის წარმატებით და ყოველმხრივ შესრულება.

საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად უნდა მივიჩნიოთ საამქროთა ტექნოლოგებისა და ოსტატების მუშაობა შრომის ჩქაროსნული, უკვე დამუშავებული და გამოცდილი მეთოდების ფართოდ დანერგვის საქმეში. საბჭოთა კავშირის, კერძოდ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ იქ, სადაც საამქროთა ოსტატები და ტექნოლოგები აქტიურად მონაწილეობენ შრომის ჩქაროსნული მეთოდების დამუშავებასა და დანერგვაში, მიღწეულია უდიდესი საწარმოო ეფექტი.

ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც ოთხი წელიწადია ხელმძღვანელობს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრასა და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა და ინჟინერთა სამეცნიერო საწარმოო კომპლექსურ ბრიგადას, მიზნად ისახავს ამ წერილით მკითხველს გააცნოს ლითონის ჩქარი ჭრის, კერძოდ მინერალ-კერამიკული საჭრისებით ჭრის მეთოდების დამუშავებისა და დანერგვის თავისი გამოცდილება. ჩვენი მიზანია განსაკუთრებით გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება ქარხანასთან ჩვენი შემოქმედებითი კავშირის ნაკლოვანებებზე, რომლებიც იმით გამოიხატა, რომ ჩვენ ჯეროვნად ვერ ვაფასებდით საამქროთა ოსტატებისა და ტექნოლოგების როლს ქარხნის მუშათა ძირითადი მასისათვის საუკეთესო ჩქაროსანი მუშების გამოცდილების გადაცემის საქმეში. მიუხედავად ამისა, ქარხანაში მუშაობის ოთხი წლის მანძილზე ჩვენმა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელშიც, სამწუხაროდ, ოსტატები არ შედიოდნენ, შექმნა ჩქაროსან მუშათა ძირითადი ბირთვი, რომელსაც ახლა უნდა დაეყრდნოს ქარხნის მუშათა მთელი კოლექტივი. საუკეთესო ჩქაროსანთა რიცხვს ეკუთვნიან ხარატები ი. ჭუმბურიძე, ვ. ბაისონაშვილი, ა. მარგველაშვილი, გ. მუხიგულაშვილი, ა. ერმოლენკო, მღარველი გ. ლამაური და სხვები. მაგალითად, ვაგონების გოგორწყვილების ჩქაროსნული დამუშავების მეთოდს, როგორც სამეცნიერო-კვლევით თემას, გზათა სამინისტროს სპეციალური ბრძანებით ფიზიკის კათედრა მთელი წლის განმავლობაში ამუშავებდა ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის გოგორწყვილების საამქროსთან ერთად. ამ მუშაობაში ხარატ-ექსპერიმენტატორად მონაწილეობდა ამხ. ვ. ბაისონაშვილი. ამჟამად გზათა სამინისტროს სავაგონო სამმართველოს უფროსის თხოვნით, ჩვენ მიერ დამუშავებული ტექნოლოგიური პროცესის აღწერილობა უნდა გაიგზავნოს მოსკოვში განსახილველად და სსრ კავშირის რკინიგზების მთელ ქსელში დასანერგავად.

მეორე სამეცნიერო-კვლევითი თემა, რომელიც იმავე სამინისტროს ბრძანებით ფიზიკის კათედრამ საამქროსთან ერთად დაამუშავა ხარატ-ექსპერიმენტატორის ამხ. გ. მუხიგულაშვილის მონაწილეობით, მოწონებულია სამინისტროს ორთქლმავალსარემონტო ქარხნების მთავარი სამმართველოს მიერ და რეკომენდებულია გზათა სამინისტროს სხვა ქარხნებში გასავრცელებლად.

დეტალების ჩქაროსნული დამუშავებისა და კერძოდ მინერალ-კერამიკული საჭრისების დანერგვის საქმეში კარგ შედეგებს მიაღწიეს ქარხნის მექანიკური საამქროს საუკეთესო ხარატებმა ი. ჭუმბურიძემ, ა. მარგველაშვილმა და სხვ. ი. ჭუმბურიძემ გააუმჯობესა ჩარხის მთელი რიგი მოწყობილობა, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა და შეამსუბუქა მუშაობა.

ამასთან ერთად, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ყველა ლითონმჭრელი საამქროსა და მუშის მასობრივ მონაწილეობას ამ ნოვატორულ მოძრაობაში. რა დიდიც უნდა იყოს ცალკეული, თუნდაც ყველაზე კვალიფიციური ჩქაროსნების მუშაობის მაგალითის ძალა, რა დიდიც უნდა იყოს მათი საწარმოო მიღწევები, ქარხნის ეკონომიკისათვის ნაკლებ შესამჩნევი იქნება მისი დადებითი შედეგები მანამდე, სანამ წარმოების ნოვატორთა მუშაობის ეს ახალი მეთოდი ყველა მუშის კუთვნილება არ გახდება. ცალკეული საწარმოო რეკორდები კარგი და საჭიროა მხოლოდ როგორც შრომის ნაყოფიერების საერთო აღმავლობის სტიმული, როგორც მოცემული ჩარხისა და ინსტრუმენტის ტექნიკური შესაძლებლობის მაქსიმუმის მაგალითი დროის მოცემულ მონაკვეთში. მაგრამ რამდენადაც ეს სტიმული სწრაფად მოახდენს თავის კეთილისმყოფელ გავლენას, ამის შემდეგ მოცემული საწარმოსთვის აუცილებელია არა მარტო ერთეული რეკორდები, არამედ საშუალო-მასობრივი შედეგები. ვთქვათ, მექანიკური საამქროს ახალგაზრდა ხარატები შრომის ნაყოფიერებაში დღეს ჩამორჩებიან ილია ჭუმბურიძეს, მაგრამ საწარმოო შესაძლებლობის გადიდებისადმი მისწრაფება მათთვის კანონი უნდა გახდეს საამქროს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საამქროს ოსტატი ცენტრალური ფიგურაა საამქროში, მის ორგანიზატორულ უნარზე პირველ რიგში დამოკიდებულია იმის შესაძლებლობა, რომ საამქროები გადაყვანილ იქნან კოლექტიურ სტახანოვურ მუშაობაზე და, კერძოდ, შრომის ჩქაროსნულ მეთოდებზე. ჰყავდეთ საამქროში ათობით ისეთი ხარატი, როგორიც ჭუმბურიძე და ბაისონაშვილი არიან, გადასცენ მათი მდიდარი გამოცდილება საამქროში მომუშავე ახალგაზრდობას, — აი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც დგას საამქროს ოსტატების წინაშე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საამქროს ოსტატებისა და ტექნოლოგებისათვის შემოღებულ უნდა იქნას პირადი ანგარიშები იმის აღრიცხვისათვის, თუ რა შემოქმედებითი წვლილი შეაქვთ მათ შრომის ჩქაროსნული მეთოდების დანერგვის და პირველ რიგში საამქროს მუშათა ძირითადი მასისათვის მოწინავე ჩქაროსანთა ძვირფასი გამოცდილების გადაცემის საქმეში.

აუცილებელია აგრეთვე მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ ჩქაროსნული მეთოდები სრულიადაც არ არის მხოლოდ ლითონის ჭრის დარგში გამოყენების მონოპოლია. იგი მოიცავს აგრეთვე ლითონების დამუშავების ისეთ სახეობებს, როგორიცაა ჭედვა, შტამპვა და ა. შ.

ლითონების ჩქაროსნული დამუშავების ყველა სახეობიდან ჩქაროსნული ჭრა ჯერჯერობით ყველაზე განვითარებული სახეა. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება ლითონის ჩქარი დამუშავების სხვა სახეობათა უგულებელყოფის საფუძველს როდი წარმოადგენს. მთლიანად საწარმოს რენტაბელობა ბევრად არის დამოკიდებული ჩქაროსნული ტექნოლოგიის ყველა სახეობაზე, რომელთა შორის ჭრას ფრიად საპატიო, მაგრამ არა ერთადერთი ადგილი უკავია.

განსაკუთრებით დიდია მეცნიერების მუშაკთა როლი წარმოებისათვის კონკრეტული, საქმიანი დახმარების გაწევის საქმეში. ამას წინათ გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატიაში აღნიშნული იყო, რომ წარმოების ჩვენს მუშაკებს ესაჭიროებათ არა წვრილმანი მეურვეობა, არამედ ნამდვილი საქმიანი დახმარება ისეთი ამოცანების გადაჭრაში, რომელთა მოგვარება მათ არ ძალუძთ კვალიფიციურ მეცნიერთა ძალების დაუხმარებლად. ამ მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროდ და დროულად მიგვაჩნია რესპუბლიკის ყველა ქარხანას მოვუწოდოთ კომპლექსური სამეცნიერო-საწარმოო ბრიგადების ძალებით წარმოების პირობებში დაამუშაონ ყველაზე აქტუალური სამეცნიერო-საწარმოო გამოკვლევანი. ასეთი ბრიგადები ქარხნებში უნდა მოეწყოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მუშაკთა, მუშათა, ინჟინერთა და აუცილებლად საამქროს ოსტატთა მონაწილეობით.

ფიზიკის კათედრისა და ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის შემოქმედებითი ბრიგადის გამოცდილების ანალიზით ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ყველაზე ძვირფას შედეგებს მხოლოდ მაშინ ვაღწევდით, როცა ქარხნის მუშებთან და ინჟინრებთან მჭიდრო თანამეგობრობით ვწყვეტდით არა საამქროს წვრილმანი პრობლემების გადაწყვეტას, არამედ სპეციალურად შემუშავებული გეგმით ვაწყობდით საკმაოდ ხანგრძლივ და შრომატევად ექსპერიმენტებს რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისათვის საჭირო მთელი რიგი დეტალების ჩქაროსნულ დამუშავებაზე გადასაყვანად.

რესპუბლიკის ყველა ქარხნის მუშაობაში დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მოწყობილი არ არის მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, სარატოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების მაგალითისამებრ, სასურველია მოწვეულ იქნას პირველი საერთო-საქალაქო ან უმჯობესია რესპუბლიკური კონფერენცია შრომის ჩქაროსნულ მეთოდებზე. ამ კონფერენციაზე ფართოდ უნდა მოვიზიდოთ არა მარტო თბილისის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე სსრ კავშირის სპეციალისტებიც, რომლებიც ინტერესს იჩენენ საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო მიღწევებისადმი, კერძოდ ადგილობრივი ახალგაზრდა მზარდი მეცნიერი მუშაკების მიერ ლითონების ჭრის ფიზიკის დარგში მიღწეული პირველი წარმატებებისადმი.

ასეთი კონფერენციის მოწვევისათვის ფრიად პასუხსაგები და ხანგრძლივი მუშაობა მოუხდებათ მის ორგანიზატორებს, მაგრამ აღნიშნული კონფერენცია უსათუოდ მოგვცემს დადებით შედეგებს რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

დოცენტი ა. ავაქოვი,
ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები რედაქციას

### გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი პურის დამამზადებელ ქსელში

„ზაგოტზერნოს" ზოგიერთი მიმღები ბაზები და პუნქტები დროზე არ თავისუფლდებიან გასული წლის მარაგისაგან, რაც ხელს უშლის ახალი
ეულის მიღებას. ამით რემონტისა
დეზინსექციის დროზე ჩატარებაც
ხდება. ეს სამუშაოები განსაკუთ-
ით არადამაკმაყოფილებლად მიმ-
რეობს „ზაგოტზერნოს" ბაზებში
ვიხეში (დირექტორი დ. ჯინჭარა-
წნორში (დირექტორი ა. თოფუ-
და სხვ. აქ ჩამორჩენილია კერძოდ
ისა და პუნქტებისათვის მუშაობა
ზის ვაგონების ჩასაყენებელი
და მისასვლელი საავტომობი-
ბის შესაკეთებლად.

„ზაგოტზერნოს" საქართველოს
ხკურმა კანტორამ უნდა შეას-
მეტად დიდი მოცულობის
ლსაცავების კაპიტალური მშე-
ბა, თითქმის ერთისამად მეტი,
შარშან.

ვევა ახალი ობიექტების გეგმია-
თავრებისა და მიღების კალენ-
რი ვადების გრაფიკი. მაგალი-
დღემდე უნდა დამთავრებულიყო
ლი დიდი საწყობი, მიიღებულია
ლეულის მხოლოდ 4 შესანახი.
ტზერნოს" საქართველოს რესპუბ-
ურმა კანტორამ დროზე ვერ გაშალა
ნადო მოსამზადებელი მუშაობა
ტალური მშენებლობის ორგანიზა-
ისათვის. თვეობით ჭიანურდებოდა
რცვლეულის შესანახი ახალი შენო-
ბებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

შეთანხმება და სათანადო წესრიგი არ არის აგრეთვე „ზაგოტზერნოს" და მომმარაგებელ ორგანიზაციებს შორის ხე-ტყის, ინერტული და სხვა საშენი მასალების გეგმიანად მიღების უზრუნველყოფის საქმეში. ჩაშლილია ინერტულ საშენ მასალათა მიწოდება იმის გამოც, რომ „ზაგოტზერნოს" კანტორის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო თავის ახალმშენებლობათა ობიექტები საკმაო სატვირთო ავტომანქანებით.

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო სათანადოდ არ ეხმარება საქართველოს რესპუბლიკურ ავტოტრესტს მარცვლეულის მოსავლის გადაზიდვისათვის მომზადების საქმეში. ჯერ კიდევ პირველ კვარტალში იყო დაგეგმილი პურის დამზადების კამპანიის დროს „გაზ-51" მარკის 62 სატვირთო ავტომანქანის გადმოგზავნა, მაგრამ ავტოტრესტს დროზე არც ერთი მანქანა არ მიუღია. ავტოტრესტი ცუდად ამარაგებს მანქანებს სათანადო ნაწილებითა და დეტალებით. თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდა, მარცვლეულის დროზე გადაზიდვა შეფერხდება.

საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი. დამამზადებელი ქსელი ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდეს პურის დამზადებას.

**მ. ზაალიშვილი.**

### სწორად გავანაწილოთ და უკეთესად გამოვიყენოთ კლუხორის საძოვრები

ქუთაისის ოლქისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს კლუხორის რაიონში გამოყოფილი აქვთ 38.033 ჰექტარი სათიბი და საძოვარი, მაგრამ დღემდე მეცხოველეობის განვითარების ამ მნიშვნელოვან ბაზას ჯეროვნად ვერ იყენებენ. შეუკეთებელია საძოვრებამდე მისასვლელი გზები.

ფერმებში მოუწესრიგებელია პირუტყვის მოვლა-პატრონობა, რაც პირუტყვის ხშირ სიკვდილიანობას იწვევს. ეს განსაკუთრებით ითქმის მახარაძის, ხობის, აბაშისა და ჩხოროწყუს რაიონების ფერმებზე. აქ ნაკლები ყურადღება ექცევა სადგომების შერჩევას პირუტყვის სახეებისა და სეზონის მიხედვით, დაწესებული არ არის საზამთრო და საზაფხულო ზონები. მაგალითად, იალბუზის კალთებზე № 37 და № 38 საძოვარი ნაკვეთები გამოყოფილია ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათა ფერმების საზამთრო სადგომად. ამ ნაკვეთებზე კი ხშირად აგვისტოს პირველი რიცხვებიდან შუა მაისამდე თოვლი და ყინვებია. ასეთსავე მდგომარეობაშია ზოგიერთი სხვა რაიონის ფერმებიც.

კლუხორში საჭიროა გაიხსნას აგრეთვე სპეციალური სავაჭრო წერტი, რომელიც ფერმის მუშაკებს მომარაგებს ნაბდებით, მაზარებით, ჩექმებით, საჯდომი და საჭაპანო აკაზმულობით, თივის აღებისათვის საჭირო იარაღმანქანებით, ვედროებით, ცხენის ნალლურსმნით.

კლუხორში კარგად მოდის კარტოფილი. თუ კოლმეურნეობები ამ საქმით დაინტერესდებიან, შეუძლიათ ფერმებთან კარტოფილის ნათესებიც მოაწყონ, რაც ხელს შეუწყობს პირუტყვის უზრუნველყოფას ფურაჟით, გააუმჯობესებს ფერმის მუშაკების სურსათით მომარაგებას.

**ი. თოლორდავა,**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რწმუნებული კლუხორის რაიონის საზაფხულო საძოვრებზე.

### სიახლე ქალაქის გამწვანების საქმეში

აგრონომმა გ. სარალიძემ დაამუშავა საკითხი: „ატმოსფერული ნალექების გამოყენება ქუჩის ნარგავების მოსარწყავად". აგრონომ სარალიძის წინადადება სათანადო ცდების შემდეგ მოიწონა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სავამთმგონებლო ტექნიკურმა კომისიამ. ამ ღონისძიების განხორციელება მუშახელისა და სასმელი წყლის დიდ ეკონომიას მოგვცემს.

ამ წინადადების მიხედვით ქუჩის ტროტუარის კიდეში კეთდება პატარა არხი — 20 სანტიმეტრი სიგანისა და 3 სანტიმეტრი სიღრმისა. არხი დაკავშირებულია ქუჩის ყველა ნარგავის ძირებთან.

სულ მცირე წვიმის დროსაც კი ნარგავები საკმარისად ირწყვება. ტროტუარებიდან და სახლის სახურავებიდან შეგროვილი წვიმის წყალი არხში ჩადის, არხიდან კი მცენარის ძირებში მიდის. თუ ნალექი დიდი რაოდენობით არის, მაშინ ძირები მიიღებს მხოლოდ საჭირო წყალს, ზედმეტი წყალი კი ქუჩაში გადავა.

თუ ტროტუარზე გაზონია, გაზონის ბორდიურს ტროტუარის მხრიდან უკეთდება ჭრილები, საიდანაც წყალი გაზონში შედის და ხეებსა და ყვავილებს რწყავს.

ეს ღონისძიება პირველ რიგში უნდა განხორციელდეს ახალი ქუჩების მშენებლობის, ძველის რემონტისა და რეკონსტრუქციის დროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ასეთი არხის გაკეთება ხარჯებს თითქმის არ მოითხოვს.

**შ. სიმონიშვილი.**

### უყურადღებოდ მიტოვებული სახლი

ერთი შეხედვით სრულ წესრიგშია თბილისში ლენინგრადის ქუჩაზე მდებარე № 3 სახლი. ამ სახლის ეზო მთლიანად მოასფალტებულია. არის წყალსადენი, კანალიზაცია, ღვარმიმღები ჭა, დაცულია სისუფთავე, მაგრამ სხვა სურათი გადაეშლება ამ სახლის მნახველს ავდარში. გასასვლელის უქონლობის გამო ეზოში მუხლამდე წყალი დგება, პირველი სართულის ოთახებსა და სარდაფებში გუბდება და მობინადრეების ბინების კედლებს ანესტიანებს.

არაერთხელ მივმართეთ სახლმმართველ მახარაძეს, მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსს ამხ. შუღაროვს, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. თათარაშვილს, მაგრამ ეზოში წყლის დაგუბების აღმოფხვრისათვის თავი არავინ შეიწუხა. ამან ის გამოიწვია, რომ დროთა განმავლობაში იატაკი და ხის კიბე დალპა, მოქალაქე მარტიროზოვის ოთახში კედლის ღუმელი დაინგრა.

ეზოში წყლის დაგუბების მიზეზი საკანალიზაციო ქსელის სივიწროვე და მისი დაქანების სიმცირეა. ამ ეზოს კანალიზაცია, რომელსაც საკმაო განივკვეთის მილები ჰქონდა, ლენინგრადის ქუჩის კანალიზაციიდან გამორთეს, ვიწრო მილებით შეცვალეს და მარჯანიშვილის ქუჩის მაგისტრალში ჩართეს. ახალ ქსელს გარდა სივიწროვისა საჭირო დაქანებაც არა აქვს, რის გამო ძლიერი წვიმის დროს ჩვენს ეზოში ღვარმიმღები ჭიდან წყალი გადმოდის.

მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომი და საბინაო სამმართველო მობინადრეთა სამართლიან მოთხოვნას ყურადღებით უნდა მოეპყრონ.

**მობინადრეები:**

**მ. ბეჟანიშვილი,**

**ნ. ალანია.**

#### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

### „გავაუმჯობესოთ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება"

ამ სათაურით „კომუნისტის" 7 ივნისის ნომრის მოწინავე წერილში გაკრიტიკებული იყო ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურისა და რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ნ. ბაიდაშვილი გვატყობინებს, რომ მოწინავე წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა.

სამინისტრომ განახორციელა ღონისძიებანი აღნიშნული სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურის და რუსთავის მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებისათვის დამატებით გამოიყო სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდები, მუშათა მომარაგების განყოფილებებს წინადადება მიეცათ გადამჭრით გააუმჯობესონ მშრომელთა სავაჭრო მომსახურება.



ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის მაკეტი.

ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## საჩუქრად პოლონელ ხალხს

### ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლე

ამას წინათ ვარშავაში პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის თანდასწრებით სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პოლონეთში ა. ა. სობოლევმა და პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ი. ცირანკევიჩმა ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის შეთანხმებას ვარშავაში კულტურისა და მეცნიერების სასახლის მაღალი შენობის აგების შესახებ.

ამ შეთანხმების თანახმად სსრ კავშირის მთავრობამ იკისრა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში სსრ კავშირის ძალებითა და სახსრებით ააგოს კულტურისა და მეცნიერების სასახლის 28-30 სართულიანი შენობა, რომელშიც პოლონეთის მთავრობის სურვილისამებრ მოთავსდება პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, მრეწველობისა და ტექნიკის მუზეუმი, საგამოფენო დარბაზები, კონგრესების დარბაზი, თეატრალური და საკონცერტო დარბაზები და კინოთეატრები.

მშენებლობის დასაწყებად საჭირო მზადება უკვე დაიწყო. გამოყოფილია სამშენებლო ნაკვეთი. დაწყებულია ამ ნაკვეთის გაწმენდა და შენობის საფუძვლის ჩასაყრელი ქვაბულის ამოთხრა, დაწყებულია აგრეთვე სამშენებლო მექანიზმებისა და საშენი მასალების გაგზავნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან. მშენებლობაზე უკვე მისულია ნაწილი საბჭოთა მშენებლებისა, ხოლო დანარჩენი თანდათან ემატებიან მათ. სწრაფი ტემპით შენდება საცხოვრებელი უბანი სასახლის მშენებელი საბჭოთა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის.

სასახლის ასაგებად პოლონეთის დედაქალაქის ცენტრალურ უბანში გამოყოფილი ნაკვეთი 24 ჰექტარს შეიცავს. ამ ფართობზე 1955 წელს პოლონეთის მშრომელებს ექნებათ კულტურისა და მეცნიერების სასახლის დამთავრებული ანსამბლი—სტალინური ეპოქის შესაფერი დიადი არქიტექტურული ნაგებობა, საშვილიშვილო სამახსოვრო საჩუქრად მიღებული საბჭოთა ხალხისაგან ნიშნად საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის სიმტკიცისა.

სასახლის პროექტის ავტორებმა საბჭოთა არქიტექტორებმა ლ. რუდნევმა, ა. ველიკანოვმა, ი. როჟინმა, ა. ხრიაკოვმა და ინჟინერმა ვ. ნასონოვმა დაამუშავეს ამ სასახლის პროექტის რამდენიმე ვარიანტი. ყოველი ვარიანტი ორიგინალურად და საინტერესოდ მოფიქრებული აღმოჩნდა. საბჭოთა ხუროთმოძღვრებმა მხედველობაში მიიღეს პოლონელი მეგობრების წინადადებანი და სურვილები და შეუდგნენ საბოლოო პროექტის დამუშავებას. ეს საბოლოო პროექტი მოწონებულ იქნა პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ, რისთვისაც პოლონეთის მთავრობამ საბჭოთა ხალხს მადლობა გამოუცხადა.

ომამდელ ვარშავაში ყველაზე მაღალ შენობად ითვლებოდა რომელიღაც ამერიკული ბანკის მიერ აგებული 16-სართულიანი „ცათამბჯენი", არქიტექტურულად ღატაკი, უშნო გარეგნობის შენობა, რომელიც მნახველზე მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა. საბჭოთა ხალხის მიერ აგებული კულტურისა და მეცნიერების სასახლე მასთან შეუდარებლად ლამაზი, გრანდიოზული, ამასთან ჰაეროვანი, უაღრესი მხატვრული გემოვნებით შესრულებული არქიტექტურული ძეგლი იქნება.

სასახლის არქიტექტურულ ცენტრს წარმოადგენს 30-სართულიანი მთავარი კორპუსი, რომელსაც დააგვირგვინებს შპილიანი კოშკური და ოთხი მრავალსართულიანი ფრთა-ფლიგელი. შენობის უმაღლესი ნაწილი ვარშავის ცაში 220 მეტრის სიმაღლეზე აიჭრება. სასახლის მთავარი ფასადი სიგრძით 254 მეტრს დაიკავებს, ხოლო სიგანით—212 მეტრს. მთელი შენობის საერთო მოცულობა 800 ათასი კუბმეტრი იქნება (თბილისში 100-ბინიანი შენობის საერთო მოცულობა 90 ათას კუბმეტრს აღწევს). სასახლის ცენტრალურ, მაღალ კორპუსში განზრახულია პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, მთელი რიგი სხვა სამეცნიერო საზოგადოებების და ინსტიტუტების მოთავსება.

სასახლის ფრთებში (ფლიგელის წესით აგებულ მრავალსართულიან შენობებში) მოთავსდება კონგრესების დარბაზი, რომელიც ნავარაუდევია 3.700 კაცისათვის, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის მუდმივმოქმედი მუზეუმი, დრამის თეატრი, სალექციო და საკონცერტო დარბაზები, ორი კინოთეატრი და სხვა ისეთი დაწესებულებები, რომლებიც მოემსახურებიან პოლონელი ხალხის კულტურულ საჭიროებას.

ამ სასახლის ერთ-ერთი „ფრთა" გადაეცემა პოლონელ ახალგაზრდობას თავისი სასახლის მოსაწყობად. „პოლონელი ახალგაზრდობის სასახლეში" იქნება თოჯინების თეატრი, სხვადასხვა საწარმოო სახელოსნო, ქორეოგრაფიის დარბაზი, საბავშვო თეატრი, სპორტის დარბაზი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, საცურავი აუზი ათმეტრიანი სახტომი კოშკით, სასროლი ტირი, საზამთრო ბაღი, აკვარიუმი.

სასახლის ყოველი კორპუსი, ყოველი შენობა მოწყობილი იქნება საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით. შენობაში იქნება სწრაფად მოძრავი ლიფტები, ჰაერის მიმწოდებელი დანადგარები, რომლებიც უზრუნველყოფენ დარბაზებსა, ოთახებსა და კაბინეტებში, აგრეთვე დერეფნებში საჭიროების დროს ზომაზე დატენიანებული თბილი, ან გრილი ჰაერის მიწოდებას, მოწყობილი იქნება სატელეფონო და რადიოკავშირი.

პოლონელი ხალხი აღსავსეა უსაზღვრო მადლობის გრძნობით საბჭოთა ხალხისადმი, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინისადმი იმ ძმური უანგარო დახმარებისათვის, რომელსაც ჩვენი დიადი სამშობლო უწევს პოლონეთს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის მშენებლობას პოლონელი ხალხი აფასებს როგორც ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის ახალ, მკაფიო დადასტურებას, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მამობრივი მზრუნველობის გამოხატულებას.

### მოსკოვის მახლობლად მდებარე ქარხნის ახალი პროდუქცია

**მიტიშჩი. (მოსკოვის ოლქი),** (საკდესი). ბოლშევსკის მანქანათმშენებელი ქარხანა ამზადებს სხვადასხვა მოწყობილობას ქვების, ხორცის, რძისა და თევზის მრეწველობის საწარმოებისათვის. აქ ამზადებენ საათში 250 კილოგრამ ნაყინის გამომშვებ აგრეგატებს, ვაფლის ჭიქების დასამზადებელ ავტომატებს, კარაქის შესაფუთავ მანქანებს.

რამდენიმე დღის წინათ აქედან შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნა მანქანა ორაგულის ავტომატური გამოშიგვნისა და გადამუშავებისათვის. მისი დახმარებით ორაგულს მექანიკურად აყრევინებენ ქვირითს, ხოლო თევზს ამზადებენ დასამარილებლად. აგრეგატი საათში გადაამუშავებს 25 ტონა თევზს და ცვლის ასობით მუშას.

ქარხანაში დაიწყო რთული დანადგარის დამზადება ვირთევზას ჯიშის თევზების გადასამუშავებლად. ასეთი მანქანები დაიდგმება ჩრდილოეთის თევზსაჭერი ფლოტის ტრაულერებზე. მათი ამუშავებით ტრაულერებს შეუძლიათ წარმადობა რამდენჯერმე გაადიდონ. ქარხანამ აითვისა აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის უზარმაზარი კიბორჩხლების გადასამუშავებელი ავტომატების წარმოება.

### ბონის სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ

#### დასავლეთ გერმანიის დემოკრატი იურისტების განცხადება

**ბერლინი,** 28 ივნისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება:

დასავლეთ გერმანიის დემოკრატ იურისტთა თანამეგობრობის ვაინჰაიმის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გმობს ბონის სეპარატულ მილიტარისტულ ხელშეკრულებას და ეგრეთწოდებულ ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ აღნიშნული „ხელშეკრულებანი მოასწავებენ დასავლეთ გერმანიის შეყვანას დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო პაქტის სისტემაში. ხელშეკრულების დებულებანი იმის შესახებ, რომ შედგენილ იქნას დასავლეთ გერმანიის სამხედრო შენაერთები უცხოელთა სარდლობით, გერმანიის ეკონომიური პოტენციალი მოქცეულ იქნას ატლანტიკის პაქტის სახელმწიფოთა დაგეგმვისა და მართვის სფეროში, 50 წლით გაგრძელდეს ოკუპაციის რეჟიმი — ყოველივე ეს იწვევს სერიოზულ გართულებებს და საბოლოო ანგარიშით გერმანიის ჩაბმას ახალ მსოფლიო ომში. თუ აღნიშნულ ხელშეკრულებათა დებულებანი განხორციელდა, ეს გამოიწვევს იმას, რომ გერმანიის გათიშვა განუსაზღვრელი დროით დარჩება".

„ხელშეკრულებებში მეორეხარისხოვან საკითხებში ფორმალური ხასიათის მოჩვენებით დათმობათა გზით, — ნათქვამია რეზოლუციაში, —მიღებულია გერმანელთა თანხმობა ხელი აიღონ სუვერენიტეტზე. სამოქალაქო ხელისუფლების განხორციელების შესახებ დასავლეთის სახელმწიფოთა შემდგომი შენიშვნები მარტო გერმანიისა და ბერლინის ერთიანობის პრობლემებზე როდი ვრცელდება. განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ შენიშვნის შესაბამისად დაკანონებული ხდება დასავლეთ გერმანიის, როგორც პროტექტორატის, საერთაშორისო — უფლებრივი მდგომარეობა.

აღნიშნული ხელშეკრულებანი საშინელ და სოციალური შედეგებით უმაგალითო სიძნელეებს მოუტანენ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას და ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტს. ფედერალური კანცლერის ხელმოწერა, რომელიც ნიშნავს დათანხმებას ყველა მომავალ ეკონომიურ და ფინანსურ ვალდებულებაზე, კატასტროფულად დააქვეითებს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

ამიტომ აქ შეკრებილი იურისტები აცხადებენ:

1. ბონსა და პარიზში 26 და 27 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულებანი ითვალისწინებენ გერმანიის უარს სუვერენიტეტზე და ეწინააღმდეგებიან გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ამ ხელშეკრულებებს გერმანელი ხალხი მიჰყავს ომისაკენ და საფრთხეს უქმნის მის, როგორც ერის არსებობას. ამიტომ ამ ხელშეკრულებათა მოწონებისა თუ უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს თვითონ ხალხმა. ეს სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ხალხის თავისუფალი გადაწყვეტილების გზით.

2. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა შინაარსი არსებითად ეწინააღმდეგება ძირითად კანონს. ამიტომ არასგზით არ შეიძლება შევურიგდეთ, რომ ფედერალურმა პარლამენტმა დაამტკიცოს ისინი — როგორც ამას ვარაუდობს ფედერალური მთავრობა—ხმის უბრალო უმეტესობით.

3. დაე ამ სერიოზულ ჟამს თვითეული გერმანელი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, შეეკითხოს თავის თავს, რა რეალური შესაძლებლობანი მოიპოვება და შეიძლება იქნას გამოყენებული გერმანიის პრობლემის გადასაწყვეტად აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის 10 მარტის, 9 აპრილისა და 24 მაისის ნოტებით გათვალისწინებული წინადადებანი, კონფერენციის მონაწილეთა აზრით, შესაბამისი გამოსავალია, რათა შესწავლილ იქნას გერმანიასთან ოთხმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობანი: სრულიად გერმანიის ეროვნული კრების თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნა, საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადება და შემდეგ ყველა მაოკუპირებელი სახელმწიფოს წასვლა.

4. კონფერენციის მონაწილენი მთელი სიმტკიცით მიმართავენ გერმანიის ფედერალური პარლამენტის ყველა დეპუტატის სინდისს. ისინი მოაგონებენ თვითეულ დეპუტატს ათეულ ათასობით ამომრჩევლის სურვილებს და იმ იმედს, რასაც ეს ამომრჩევლები ამყარებდნენ დეპუტატებზე, როცა ისინი 1949 წელს გაგზავნეს ბონის სახალხო წარმომადგენლობაში.

ჩვენ, ვაინჰაიმში შეკრებილი იურისტები, გერმანელი იურისტებისა და გერმანელი ხალხის დიდ უმრავლესობასთან ერთად ვესწრაფვით ერთიანობასა და მშვიდობას. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ თვითეულ ცალკე დეპუტატს გერმანელი ხალხის ამ საკითხის გადაწყვეტისას მისდიოს თავისი სინდისის ხმას და შეასრულოს თავისი ამომრჩევლების დავალება: იბრძოლოს გერმანიის ერთიანობისათვის და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, იბრძოლოს საერთო ხელშეკრულების წინააღმდეგ და გერმანიის გათიშვის წინააღმდეგ".

### მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭოს წერილი აჩესონისადმი

**ვენა,** 27 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აჩესონის ვენას მომავალ ჩამოსვლასთან დაკავშირებით მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭომ მას მიმართა ღია წერილით, რომელშიც აცხადებს „მტკიცე პროტესტს ამერიკის საჰაერო ძალების მიერ მდინარე იალუძიანზე ელექტროსადგურების დაბომბვის წინააღმდეგ. მოსპობის ამ ერთადერთმა თავისებურმა კამპანიამ ავსტრიის მოსახლეობაში, ისე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია". წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ბარბაროსული დაბომბვა ნიშნავს „სერიოზულ საფრთხეს კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებისათვის, რომელიც პანმინჯონში მთელი რიგი თვეების მანძილზე გრძელდება".

„ამ მოლაპარაკების დაწყებისას, — ნათქვამია წერილში, — მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანს კორეაში ცეცხლის მალე შეწყვეტის დიდი იმედი ჰქონდა. მაგრამ ისინი შეაძრწუნა ცნობამ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების შესახებ, კუნძულ კოჯედოზე კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეებისადმი ჩადენილმა მხეცობამ. მდინარე იალუძიანზე იმ ელექტროსადგურების პროვოკაციულმა დაბომბვამ, რომლებიც ასობით კილომეტრით დაშორებულია ფრონტს, გააძლიერა ხალხთა შეშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ ფიქრობენ კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებაზე.

ბ-ნო მინისტრო აჩესონ, ავსტრიელი ხალხისათვის ცხადია, რომ თქვენ გაკისრიათ პასუხისმგებლობა ყოველივე იმისათვის, რაც კორეაში ხდება.

მოლაპარაკება კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ წარმატებით უნდა დამთავრდეს.

სამხედრო ტყვეებს უნდა მოეპყრონ ადამიანურად, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა დაამტკიცონ ჟენევის ოქმი ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ.

შეწყდეს ომი კორეაში! ყველა ამ მოთხოვნას ჩვენ ვაყენებთ 800 ათასი ავსტრიელის სახელით, რომლებმაც ხელი მოაწერეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოთხოვნას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ და რომლებსაც სურთ მშვიდობა და უნდათ, რომ ყველა დიდმა სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრას".

### ფრანგული გაზეთი ამერიკის პოლიტიკის გეგმების შესახებ

#### ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ აღადგინონ ღერძი რომი-ბერლინი

**პარიზი,** 27 ივნისი. (საკდესი) ყოველკვირეულმა „ტრიბიუნ დე ნასიონმა" გამოაქვეყნა თავისი რომაელი კორესპონდენტის სტატია სათაურით: „ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ აღადგინონ ღერძი რომი-ბერლინი":

„ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რომში ბ-ნი ელსუორტ ბანკერი, — წერს სტატიის ავტორი,—დიდ აქტივობას იჩენს, ცდილობს დაარწმუნოს იტალიის მთავრობა, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა იტალიასა და დასავლეთ გერმანიას შორის.

სახელმწიფო დეპარტამენტს მიაჩნია, რომ იტალიის ნაციონალისტური წრეების მისწრაფება დასავლეთ გერმანიასთან დაახლოებისადმი მეტი მხარდაჭერის ღირსია. ბ-ნმა ბანკერმა ბ-ნ დე გასპერის ურჩია უფრო მჭიდრო კავშირი გააბას ბონის მთავრობასთან, კერძოდ სამხედრო დარგში და სახელმწიფოს უშიშროების დარგში. ყოფილ ფრონტელთა ბევრი გერმანული ორგანიზაცია და ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, მაგალითად, საიმპერიო სოციალისტური პარტია (ფაშისტური.—რედ. შენიშვნა), კეთილმოსურნედ ეკიდებიან ამ დაახლოებას და ცდილობენ არაოფიციალურად ხელი შეუწყონ მას.

ამ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ ამერიკის ელჩმა გამოთქვა ამერიკის ხელისუფალთა სურვილი, რომ დასავლეთ გერმანიის ფირმებს მიეცეს იგივე უფლებები, რომლებითაც ისინი იტალიაში სარგებლობდნენ „ღერძის" დროს.

არსებული ცნობების თანახმად, იტალიის მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოთქმული სურვილი სავსებით შეესაბამება მისი მთავრობის თვალსაზრისს.

მაგრამ ამ დიპლომატიურ თანხმობაში იმალება შეშფოთება, გამოწვეული ბევრი იტალიელი მრეწველის უკმაყოფილებით, რომლებსაც არა სურთ, რომ გერმანელები არათანასწორ პირობებში უწევდნენ მათ კონკურენციას".

## იაპონიის პარლამენტში

**ტოკიო,** 27 ივნისი. (საკდესი). გუშინ იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატაში მთელმა რიგმა ოპოზიციურმა პარტიებმა წარადგინეს რეზოლუცია იოსიდას მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. რეზოლუცია უარყოფილ იქნა 234 ხმით 113 ხმის წინააღმდეგ.

განმარტა რა ამ რეზოლუციის წარდგენა, „პროგრესული პარტიის" დეპუტატმა კიტამურამ მოითხოვა იოსიდას კაბინეტის დაუყოვნებლივ გადადგომა. მან აღნიშნა მთავრობის პოლიტიკის ისეთი ჩავარდნები, როგორიც არის იაპონიისათვის დამამცირებელი ადმინისტრაციული შეთანხმების დადება, რომელიც ქმნის შესაძლებლობას განუსაზღვრელი ვადით გადააქციონ იაპონია სამხედრო ბაზად, ხელახალი შეიარაღების ფაქტიური განხორციელება, იაპონიის იზოლაცია აზიის დანარჩენი ქვეყნებისაგან, ჩინეთთან იაპონიის ვაჭრობისათვის ხელის შეშლა, ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევა, რაც გამოიხატა „ძირგამომთხრელი საქმიანობის თავიდან აცილების" შესახებ კანონპროექტის წარდგენით.

კომუნისტმა უნოგუციმ განაცხადა, რომ მთავრობამ უგულებელყო ხალხის ნება, რომელიც მშვიდობას მოითხოვს, დადო ეგრეთწოდებული „საზავო ხელშეკრულება" ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან და ამით გააძნელა ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და აზიის სხვა ქვეყნებთან. მთავრობამ იაპონიის ტერიტორია დაუთმო ამერიკელ იმპერიალისტებს სამხედრო ბაზებისათვის და აზიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიისათვის. დამამცირებელი ადმინისტრაციული შეთანხმების შედეგად საოკუპაციო ჯარების მებრძოლები დაუბრკოლებლად სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს მთელ იაპონიაში. მთავრობა არათუ არ იღებს ღონისძიებებს ხალხის ცხოვრების სტაბილიზაციისათვის, არამედ ერის გაძარცვის პოლიტიკას ახორციელებს. იოსიდას მთავრობა, რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეუძლია გარდა იმისა, რომ ამერიკელი იმპერიალისტების მორჩილი იყოს, უნდა გადადგეს.

მემარცხენე სოციალისტმა აკამაცუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, დადო რა „საზავო ხელშეკრულება" და „უშიშროების პაქტი", იოსიდას კაბინეტი იაპონიას აქცევს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზად და ახორციელებს ხელახალი შეიარაღების პოლიტიკას, რითაც არღვევს კონსტიტუციას.

მემარჯვენე სოციალისტმა ასანუმამ აღნიშნა, რომ იოსიდას კაბინეტი აძლიერებს დიქტატურას და კვლავ ქმნის ფაშიზმის საფრთხეს. ჩან კაი-შის ხროვასთან ხელშეკრულების დადება იმ დროს, როცა კორეაში გრძელდება ომი, ნაბიჯია ომში იაპონიის ჩაბმისაკენ.

## უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი**, 26 ივნისი. (საკდესი). დღეს ინგლის-ამერიკის ბლოკმა უშიშროების საბჭოში უარყო საბჭოთა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევდა უშიშროების საბჭოს მიემართნა ყველა სახელმწიფოსათვის მოწოდებით — მოეწონებინათ და დაემტკიცებინათ ჟენევის ოქმი, რომელიც კრძალავს ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებას. მალიკის იმ სიტყვის თარგმნის დამთავრების შემდეგ, რომელიც მან 25 ივნისს წარმოთქვა, მალიკმა განაცხადა, სიტყვის მსურველი აღარავინ არისო, და კენჭისსაყრელად დასვა საბჭოთა რეზოლუცია.

საბჭოთა კავშირმა ხმა მისცა ამ რეზოლუციას, უშიშროების საბჭოს დანარჩენმა წევრებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს.

მალიკმა მოკლე სიტყვაში განაცხადა, რომ ამ საკითხზე, ისე როგორც ტუნისის საკითხზე კენჭისყრაში, რომელიც წინათ იყო დასმული უშიშროების საბჭოს წინაშე, თავის შეკავება წინააღმდეგ ხმის მიცემას უდრის. მან განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ, რომელიც შეერთებული შტატების მმართველი წრეების ზეგავლენით მოქმედებს, ჩაშალა რეზოლუცია, რომლის მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საქმის განმტკიცება.

მალიკის მოკლე განცხადების შემდეგ შეერთებული შტატების წარმომადგენელი გროსი შეეცადა „ახსნა“ საბჭოთა კავშირის წინადადების წინააღმდეგ მიმართული თავისი ხმის მიცემის მოტივები. გროსმა დაუშვა გამოხდომა საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა რეზოლუცია თითქოს წარმოადგენს ტაქტიკურ „მანევრს“. დასასრულ გროსმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები განიხილავდან ხსნიან თავის რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს, რომ საბჭოთა წინადადება განსახილველად გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას.

## იტალიის სენატში

**რომი**, 28 ივნისი. (საკდესი). ენრიკო დე ნიკოლას ნაცვლად, რომელიც გადადგა, სენატის თავმჯდომარედ გუშინ არჩეულ იქნა დამოუკიდებელი ჯუზეპე პარატორე. როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, პარატორეს კანდიდატურას, რომელიც უმრავლესობის ჯგუფმა დაასახელა, მხარი დაუჭირეს აგრეთვე კომუნისტებმა და მემარცხენე დამოუკიდებლებმა.

კომენტარს უკეთებს რა დე ნიკოლას საბოლოო უარს უკან წაიღოს თავისი გადადგომა სენატის თავმჯდომარის პოსტიდან, „უნიტა“ წერს, რომ რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ამ ნაბიჯის მიზეზია მისი უკმაყოფილება იმის გამო, რომ „გადაიდო პარლამენტის მიერ კონსტიტუციური კანონების მიღება და მთავრობა აპირებს განახორციელოს მთელი რიგი საკანონმდებლო ღონისძიებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის დემოკრატიულ ხასიათს. დე ნიკოლა მხარს უჭერდა პარლამენტის იმ წევრებს, რომლებიც მოითხოვდნენ იმ კონსტიტუციური კანონების რაც შეიძლება მალე განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ზოგიერთ ძირითად უფლებას და აწესრიგებენ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებას ისე, რომ დაშვებულ არ იქნას მათი მხრივ თვითნებობა და უკანონობა. ამავე დროს დე ნიკოლა აგრძნობინებდა, რომ არ იწონებს მთავრობის ანტიკონსტიტუციურ საკანონმდებლო პროგრამას, რომლის მიზანია შექმნას იტალიაში კლერიკალური ბატონობის ახალი იარაღები“.

## თავისუფლება ჟაკ დიუკლოს

**პარიზი**, 27 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის ქალთა კავშირის ხელმძღვანელი ბიუროს დელეგაცია გუშინ მივიდა საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის ედუარდ ერიოს კანცელარიაში, რათა მოეთხოვა ჟაკ დიუკლოს განთავისუფლება.

როგორც „ლუმანიტე“ აღნიშნავს, ერიომ არ მიიღო დელეგატი ქალები, რომლებმაც მისთვის გადასაცემად დატოვეს საფრანგეთის ქალთა კავშირის ხელმძღვანელი ბიუროს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ჟაკ დიუკლოს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას საპატიმროდან.

დელეგაციამ დატოვა აგრეთვე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარის ეჟენი კოტონის წერილი ერიოს სახელზე. ამ წერილში, რომელიც დღეს შემოკლებით გამოაქვეყნა გაზეთმა „ლიბერასიონმა“, ეჟენი კოტონი გამოდის დიუკლოს დასაცავად „ყველა დედისა და ყველა ქალის სახელით, რომლებიც გაერთიანდნენ, რათა დაიცვან მშვიდობა და თავისუფლება“.

## დემოკრატების დევნა საფრანგეთში

**პარიზი**, 27 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთში გრძელდება რეპრესიები მშვიდობის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ტულონის სასამართლოს გამომძიებელმა როტ ოჩერამ გასცა მანდატი ზღვისპირეთის ალპების დეპარტამენტის გენერალური მრჩევლის კომუნისტ ვირჟილ ბარელის დასაპატიმრებლად. ვირჟილ ბარელი მამაა გმირი პატრიოტის მაქს ბარელისა, რომელიც გესტაპოელებმა წამებით მოკლეს. გუშინვე გამომძიებელმა როტმა მოწმის სახით დასაკითხავად გამოიწვია ვარის დეპარტამენტის კომუნისტური პარტიის ფედერაციის ერთ-ერთი მდივანი ივ ლე მადეკი. როგორც კი მადეკი დასაკითხავად გამოცხადდა, იგი მაშინვე დააპატიმრეს ია ბრალად დასდეს ყბადაღებული „ხელყოფა სახელმწიფოს შინაგანი უშიშროებისა“.

„ლუმანიტე“ იუწყება, რომ პარიზს გენერალ რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო სახალხო დემონსტრაციების 25 მონაწილე დღემდე საპყრობილეშია სისხლის სამართლის დამნაშავეთა თანაბარ მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატები და საზოგადოებრიობა მტკიცედ მოითხოვენ დაპატიმრებულთ მიუჩინონ პოლიტიკურ პატიმართა რეჟიმი.

## ბელგიაში შეიქმნა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემწყობი კომიტეტი

**ბრიუსელი**, 26 ივნისი. (საკდესი). ბრიუსელში შეიქმნა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემწყობი ბელგიის კომიტეტი.

კომიტეტი აერთიანებს ასზე მეტ მრეწველს, კომერსანტსა და ფინანსისტს.

ბელგიის კომიტეტს სათავეში უდგას ადმინისტრაციული საბჭო. ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ბარონი ალარი—წევრი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტისა, რომელიც მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე შეიქმნა.

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 27 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების იერიშების მოგერიებას და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დასავლეთის ფრონტზე მუდენლისა და ფხოხვანლის რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს იერიშზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს და მთლიანად მოსპეს მტრის ასეულზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ცენტრალურ ფრონტზე ჩხოლვონის რაიონში მოწინააღმდეგემ 4-ჯერ მიიტანა იერიში, მაგრამ ზარალი ნახა და უკუგდებულ იქნა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ თავდასხმებში ჩვენი ზურგის დასახლებულ პუნქტებზე.

## წინასწარგანზრახული ცდა ხელი შეუშალონ კორეაში მშვიდობის დამყარებას

### დიდი ბრიტანეთის კომპარტიის პოლიტიკური კომიტეტის განცხადება ამერიკელთა მიერ კორეის ელექტროსადგურების დაბომბვის შესახებ

**ლონდონი**, 27 ივნისი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომპარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება ამერიკელ აგრესორთა მიერ მდინარე იალუძიანზე ელექტროსადგურების დაბომბვის გამო.

განცხადებაში ნათქვამია: „მდინარე იალუძიანის ელექტროსადგურებზე არაპროვოცირებულმა თავდასხმამ — უდიდესმა თავდასხმამ, რაც ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა ბრძანებით მოხდა კორეაში იმ დროს, როცა ყველა ქვეყნის ხალხები იმედით მოელოდნენ დაზავებას კორეაში, აღაშფოთა ინგლისისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა. ეს თავდასხმა შეერთებული შტატების მმართველი სამხედრო პარტიის წინასწარგანზრახული, მხეცური და გიჟური საქციელია, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ მშვიდობის დამყარებას შორეულ აღმოსავლეთში, და იმისათვის, რომ ომი გაავრცელონ ჩინეთზე.

მთელი წლის განმავლობაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების განუწყვეტელი საბოტაჟის შემდეგ ამერიკის სამხედრო ხელისუფალთ ახლა წაერთვათ უკანასკნელი საბაბი დაზავებაზე უარის სათქმელად. მათი ფარისევლური, ყალბი განცხადება, რომ ისწრაფვიან დაიცვან სამხედრო ტყვეთა ინტერესები, მათსავე წინააღმდეგ შებრუნდა, როცა მათი უპრეცედენტო სისასტიკე და ბარბაროსული მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი მთელმა მსოფლიომ შეიტყო“. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკელ ხელისუფალთ არც კი უცნობებიათ ინგლისის მთავრობისათვის გადაწყვეტილება დაებომბათ ელექტროსადგურები მდინარე იალუძიანზე, თუ აღარას ვიტყვით იმის შესახებ, რომ კონსულტაცია არ გაუწევიათ მასთან.

„მთელმა ინგლისელმა ხალხმა, — ნათქვამია განცხადებაში, — დაუყოვნებლივ უნდა გამოთქვას გულისწყრომა და აღშფოთება ამერიკელთა ამ ბარბაროსული მოქმედების გამო და ეს აცნობოს მთავრობას და პარლამენტის ყველა წევრს“.

განცხადების ბოლო ნაწილში ნათქვამია: „მოითხოვეთ, რომ ინგლისის მთავრობამ უარი თქვას მდინარე იალუძიანის ობიექტებზე ამერიკელთა შეტევისათვის ყოველგვარ დახმარებაზე! მოითხოვეთ დაუყოვნებლივ დაზავება კორეაში! მოითხოვეთ ინგლისელთა ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანა! ხელი არ ახლოთ ჩინეთს!“

## უოლ-სტრიტს არა სურს კორეაში ომის შეწყვეტა, რადგან ომის შეწყვეტა ლახვარს ჩასცემს გამალებულ შეიარაღებას

### უილიამ ფოსტერის სტატია მდინარე იალუძიანზე ელექტროსადგურების დაბომბვის შესახებ

**ნიუ-იორკი**, 27 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „დეილი უორკერში“ მოთავსებულ სტატიაში ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე უილიამ ფოსტერი წერს, რომ ამერიკის თვითმფრინავების 23 ივნისის თავდასხმა მდინარე იალუძიანის ელექტროსადგურებზე წარმოადგენს „ბარბაროსობის განსაცვიფრებელ მაგალითს და რომ, ახორციელებს რა ამ ბარბაროსულ ოპერაციას, ამერიკელთა სამხედრო ხროვა ეწევა არა მარტო კორეაში ომის მთლიანად განახლების, არამედ აგრეთვე ისეთი ამბების დაწყების სერიოზულ რისკს, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მესამე მსოფლიო ომი“. ფოსტერი წერს, რომ პენტაგონსა და ტრუმენის მთავრობას აშკარად არა სურთ დაზავება კორეაში, და რომ ომის ამერიკელი გამჩაღებლები, რომლებიც პენტაგონის სათავეში დგანან, „ამჯობინებენ ეს საშიში ბიძგი მისცენ ჩინეთთან დიდი ომის მიმართულებით“. ამას მოწმობს არა მარტო უკანასკნელი მასირებული საჰაერო თავდასხმა, არამედ აგრეთვე მუდმივი საჰაერო თავდასხმები, რაც დაზავების შესახებ მოლაპარაკების დროს ხდებოდა.

ფოსტერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეერთებულ შტატებს უკვე დიდი ხანია შეეძლოთ დაედოთ სამართლიანი შეთანხმება დაზავების შესახებ, მათ რომ ამის სურვილი ჰქონოდათ. იმის ერთად-ერთი მიზეზი, რომ მიღწეულია მოლაპარაკების ახლანდელი სტადია, არის ზემოქმედება და მშვიდობის მოთხოვნა ამერიკელი ხალხისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მხრივ. ფოსტერი წერს, რომ ომის უოლ-სტრიტელ გამჩაღებლებს ესაჭიროებათ ომი კორეაში, რადგან მათ ეშინიათ, რომ მისი შეწყვეტა ბოლოს მოუღებდა ახლანდელ გამალებულ შეიარაღებას, რომლის მიზანია შეერთებული შტატებისა და კაპიტალისტური მსოფლიოს შეიარაღება და რომელიც უდიდეს მოგებას აძლევს სამხედრო მრეწველებს. „მათ ეშინიათ, რომ, თუ კორეაში მიღწეულ იქნა მოწესრიგება, მასების მოთხოვნა სსრ კავშირთან საერთო შეთანხმების შესახებ იმდენად გაძლიერდება, რომ ჩაფუშავს ამერიკის მსხვილი კაპიტალის გეგმებს — დაამყაროს თავისი მსოფლიო ბატონობა. სწორედ ასეთი დამღუპველი მოსაზრებები უდევს საფუძვლად დიდ საჰაერო შეტევას, რაც ჩრდილოეთ კორეისა და სახალხო ჩინეთის წინააღმდეგ დაიწყეს“.

ფოსტერი წერს, რომ მდინარე იალუძიანზე საჰაერო თავდასხმა ავის მომასწავებელია, რამდენადაც იგი ცხადყოფს, რომ მილიტარისტები — ომის გამჩაღებლები — სამხედრო ძლიერებას გამოიყენებენ ყოველნაირი უსაფუძვლო საბაბით.

დასასრულ ფოსტერი წერს, რომ აღმაშფოთებელი და სრულიად უსაფუძვლოდ დაწყებული საჰაერო თავდასხმა კვლავ ცხადყოფს ახალი მსოფლიო ომის საშიშროების სერიოზულობას. „და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი მოწმობს, რომ აუცილებლად საჭიროა მუშათა კლასმა და სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებმა შეიგნონ ეს სერიოზული საფრთხე და დამარცხება აგემონ მსხვილი კაპიტალის უოლსტრიტელ მონოპოლისტებს, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ ახალი დიდი ომის შედეგად მსოფლიოს ბატონები გახდებიან. პირველ ღონისძიებად ამერიკელმა ხალხმა უნდა მოითხოვოს დაუყოვნებლივ დაიდოს შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ“.

## გაზეთ „დეილი კომპასის“ მიმომხილველი სტოუნი კორეის ომის მეორე წლისთავის შესახებ

**ვაშინგტონი**, 28 ივნისი. (საკდესი). კორეის ომის მეორე წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „დეილი კომპასის“ მიმომხილველი სტოუნი 26 ივნისს წერდა, რომ თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები გამუდმებით აღნიშნავენ თავიანთ მშვიდობიან განზრახვებს, „ტრუმენის მთავრობას და პენტაგონს (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება — რედ.) მთავარ სამხედრო ხელმძღვანელებს... არა სურთ კორეაში ომის შეწყვეტა“. სტოუნმა აღნიშნა, რომ, თუმცა სამხედრო თვალსაზრისით კორეა „უიმედო საქმეა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, პოლიტიკური თვალსაზრისით კორეა საჭიროა“.

მოაგონებს რა მკითხველს გენერალ ვან ფლიტის ყბადაღებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ „კორეა ღვთის წყალობაა“ და რომ „კორეა უნდა ყოფილიყო“, სტოუნი წერს, რომ კორეის ომი „უეჭველია... არ იყო ღვთის წყალობა 100 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცისთვის, რომლებიც კორეაში დაიღუპნენ. უეჭველია იგი არ იყო ღვთის წყალობა კორეის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილის მცხოვრებთათვის... ვის მიაჩნია კორეა ღვთის წყალობად?... ომი „ღვთის წყალობა“ იყო ამერიკელი სამხედრო ხროვისათვის. ომმა ხელი შეუწყო სამხედრო მიზნებისთვის განკუთვნილ ასიგნობათა მკვეთრად გადიდებას. მან გამოიწვია „დაძაბულობის“ გაძლიერება, რაც მათთვის ესოდენ სასურველი იყო. მან გააძლიერა, თუმცა ჯერ კიდევ მაინც არასაკმაოდ, მათი კამპანია საყოველთაო სამხედრო წვრთნის შემოღებისათვის. მან მკვეთრად გაადიდა მათი პოლიტიკური ძალაუფლება. უეჭველია, ვან ფლიტს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა თქვა: „კორეა უნდა ყოფილიყო ან აქ, ან სხვა რომელიმე ადგილას“.

ომი „ღვთის წყალობა“ იყო იმათთვის, ვინც, ჯონ ფოსტერ დალესის მსგავსად, ეძებს რაღაც უფრო „პოზიტიურს“, ვიდრე ცივი ომია, ვისაც აშინებს რუსეთთან მოწესრიგების შესაძლებლობა, ვისაც სურს გერმანიისა და იაპონიის შეიარაღება.

კორეის ომმა აჩესონს საშუალება მისცა დაეწყო გერმანიის შეიარაღება ცალმხრივ საფუძველზე, ხოლო დალესს—თავს მოეხვია ინგლისისთვის, ავსტრალიისთვის, ფილიპინებისა და სხვა მოკავშირეებისთვის პაქტი, რომელიც გზას უკაფავს იაპონიის მილიტარიზმის აღორძინებას. ბოლოს, ომი „ღვთის წყალობა“ იყო ჰარი ტრუმენისათვის.

ომი რომ არ ყოფილიყო, იგი ვერ დახარჯავდა უდიდეს სახსრებს შეიარაღებისთვის. მას აშინებს ეკონომიური პრობლემები, რომლებიც წარმოიშობოდა ომის დამთავრების შემდეგ. მას აშინებს პოლიტიკური პრობლემები, რომლებსაც შეუქმნიდა დროებითი ზავის დადება. მშვიდობა კორეაში შეასუსტებდა დაძაბულობას, გააძლიერებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობას გერმანიისა და იაპონიის შეიარაღებისადმი, ხელს შეუწყობდა კამპანიის განახლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წითელი ჩინეთის დაშვებისათვის და განამტკიცებდა კონგრესის წევრთა ოპოზიციას სამხედრო ასიგნობათა გადიდებისადმი. არავინ არ უნდა გააკვირვოს იმან, რომ ჩვენმა საჰაერო ძალებმა ომის მეორე წლისთავი აღნიშნეს ორი პროვოკაციული თავდასხმით მდინარე იალუძიანის ელექტროსადგურებზე.

## იტალიის ნავსადგურებში მივიდნენ ინგლისის ხომალდები

**რომი**, 28 ივნისი. (საკდესი). ანსას სააგენტო იუწყება, რომ ბრინდიზის ნავსადგურში მივიდა ინგლისის კრეისერი „გამბია“ ორი საესკადრო ნაღმოსნის თანხლებით. ვენეციის ნავსადგურში მივიდნენ ინგლისის ოთხი საესკადრო ნაღმოსანი და ოთხი წყალქვეშა ნავი.



## გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო

30 ივნისს საღამოს 9 საათზე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კომკავშირის ორგანიზაცია აწყობს შეხვედრას საქართველოს სახალხო პოეტთან — აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძესთან.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ე. ყიფშიძე. გ. ტაბიძის შემოქმედებაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ე. დავითაია. დასასრულ გაიმართება კონცერტი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა მონაწილეობით. ნაჩვენები იქნება სცენები მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დადგმებიდან.

## ტაქსი—საგარეუბნო კურორტებზე

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს განკარგულებით მშრომელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად ზაფხულის ბოლომდე თბილისის მახლობელ კურორტებზე — კოჯორში, წყნეთსა და კიკეთში დაწესებულია ტაქსების რეგულარული მიმოსვლა თბილისიდან.

შაბათობით და კვირადღეებში ტაქსების მოძრაობა შემოღებულია აგრეთვე ბერიას მოედნიდან სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკამდე (ფუნიკულიორი)

## ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების გამოფენა

27 ივნისს თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის დარბაზებში გაიხსნა ნორჩ ტექნიკოსთა მესამე რესპუბლიკურ კონკურსზე წარდგენილი ნამუშევრების გამოფენა — „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“. გამოფენაზე წარმოდგენილია: თბილისის, ბათუმის, სუხუმის, ქუთაისის, გორის, თელავის, ხაშურის, ჭიათურის, სამტრედიის, ფოთის, ტყიბულის და სხვა ქალაქების ნორჩ ტექნიკოს მოსწავლეთა მიერ შესრულებული 1.000-მდე ექსპონატი — ტელესკოპი, ვატერპასი, დინამომეტრი, მექანიკის ზოგ კანონთა სადემონსტრაციო ხელსაწყო, ნორჩი ბიოლოგების მიერ დამზადებული ფიტულები სხვადასხვა ცხოველებისა, მწერთა კოლექციები, სხვადასხვა მინერალთა ნიმუშები, ელექტროფიცირებული რუკები, ილუსტრაციები და ა. შ.

გამოფენა ახალგაზრდობაში დიდ ინტერესს იწვევს.

## კინოთეატრი კიროვის პარკში

კიროვის პარკი თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. შარშან პარკის ერთ-ერთ კუთხეში ააგეს საზაფხულო კინოთეატრის შენობა, რომელიც ყოველი სეანსისას სავსე იყო მაყურებლებით. წელს ამ კინოთეატრს უფრო მეტი მაყურებელი ეტანება. მაყურებელთა უკეთესი მომსახურების უზრუნველსაყოფად ამჟამად მიმდინარეობს კინოთეატრის გაფართოება, საჯდომი ადგილებისათვის ფარდულის მოწყობა.

თეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც უახლოეს დროში დამთავრდება, ისე მიმდინარეობს, რომ კინოფილმების დემონსტრაცია ამით არ ფერხდება.

## საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში

ორშაბათს, 30 ივნისს, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა მართავენ დისპუტს ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის ახალი დადგმის გამო. განხილულ იქნება კ. კრაპივას პიესის დადგმა—„ტოროლები გალობენ“.

სპექტაკლის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფ. კ. ანდრონიკაშვილი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ რეჟისორები, მსახიობები, მწერლები, დრამატურგები და კრიტიკოსები.

დისპუტი შედგება ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქუჩა № 8) საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე.

## კონფერენცია ბავშვთა აღზრდის საკითხებზე

ამას წინათ თბილისის ოფიცერთა სახლში შედგა მშობლების კონფერენცია, მიძღვნილი ბავშვთა აღზრდის საკითხებისადმი. კონფერენციაზე შეჯამებულ იქნა მშობელთა ლექტორიუმის მუშაობა, დასახულ იქნა ბავშვთა აღზრდაში მშობლებისათვის საზოგადოებრივი დახმარების მთელი რიგი ღონისძიებანი.

კონფერენციამ მოიწონა ოფიცერთა სახლის ინიციატივა, რომ მშობელთა ლექტორიუმის მუშაობა მომავალშიც გაგრძელდეს. წელს ოფიცერთა სახლმა მშობელთა ლექტორიუმის მუშაობაში ჩააბა მოწინავე თბილისელი პედაგოგები და მეცნიერები—პროფესორები ი. ტალახაძე, რ. ნათაძე, გ. თავზიშვილი და სხვ.

მომავალში განზრახულია ლექტორიუმის მსმენელ მშობელთა კონტინგენტის გაფართოება და ლექტორებად ახალი ძალების მიწვევა.

## მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

29 ივნისს თბილისის კიროვის სახელობის კალათბურთის მოედანზე გაიხსნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა მეხუთე რესპუბლიკური სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაშია სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ცურვა, ჩოგბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი და მძლეოსნობა.

სპარტაკიადის მონაწილეთა შეჯიბრება ტანვარჯიშში, ცურვასა და ჩოგბურთში მოეწყობა თბილისის სასპორტო ბაზებში, კალათბურთსა და ფრენბურთში — სუხუმში, ხოლო ჭადრაკსა და მძლეოსნობაში — ბათუმში.

სპარტაკიადა 15 ივლისამდე გასტანს.

## ახალგაზრდობის კარნავალი

დღეს, 29 ივნისს, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართება ახალგაზრდობის კარნავალი, მიძღვნილი უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლო წლის დამთავრებისადმი.

საზაფხულო თეატრის ესტრადაზე გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ლ. კავსაძე, ე. აფხაიძე, პ. კობახიძე, ს. ჯაფარიძე, ვ. კეკელია, ზ. კირვალიძე, ს. მირცხულავა, შ. ჯაფარიძე და სხვ.

საცეკვაო მოედანზე მოეწყობა ახალგაზრდობის მეჯლისი, სპორტულ მოედანზე — სპორტული შეჯიბრებები.

კარნავალი დაიწყება ნაშუადღევის 5 საათზე.

## პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის VII პლენუმი

2 ივლისს საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) მოწვეულია საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის VII პლენუმი აქტივთან ერთად.

პლენუმზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი: აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი**—კომუნიზმის დიად მშენებლობათა და ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის სალექციო პროპაგანდა საზოგადოების მიერ (საკავშირო საზოგადოების გამგეობის IX პლენუმის შედეგები); **ლ. ეხაკია** — 1951 წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულებისა და 1952 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

## სასამართლო

იური აბჯარიძე თათუზვ[illegible] რომელმა[illegible] ჯელის შემს[illegible] მედ კრ[illegible] მოსძალა, [illegible] მეორე [illegible] პატიმრობა მიუსაჯა.

**შალვა გიორგის-ძე გახიშვილს** (ხაშურის რაიონის სოფელ ყელეთის ბერიას სახელ[ობის] კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე) კოლმეურნეო ქონების ხელყოფისათვის თ[ბილი]სის საოლქო სასამართლოს გამსვლელმა ს[ესიამ] ამხ. გ. მასიურაძის თავმჯდომარეობით მი[უსაჯა] 15 წლის პატიმრობა შრომა-გასწორებით [ბანაკ]ში მოთავსებით, ქონების კონფისკაცია და [illegible] ჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის [illegible]ბის ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

## მწერალთა კლუბში

ორშაბათს, 30 ივნისს, საღამოს 8 ს[აათზე მწე]რალთა კავშირის კლუბში დანიშნულია [illegible] ძის თარგმანების განხილვა. მოხსენებას [გააკეთე]ბს დოც. ვ. ურუშაძე.

განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ [illegible]ლები და მთარგმნელები.

## ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მ[ეცნიე]რული ცოდნის გამავრცელებელი საზოგ[ადოება] მედიცინის მუშაკთა ეგრომნელთვის სახ[illegible] რესპუბლიკურ სახლში (რუსთაველის პრ. [illegible]) 30 ივნისს საღამოს 8 საათსა და 30 წუთ[ზე აწ]ყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის [illegible] ლეიმანის საჯარო ლექციას თემაზე: „**სს[რ კავ]შირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახ[ებ]**“.

## მოხსენება გეოგრაფიულ საზოგადოებაში

სამშაბათს, 1 ივლისს, საღამოს 8 საათ[ზე] მოწვეულია საქართველოს გეოგრაფიული ს[ა]ზოგადოების საჯარო სხდომა, რომელიც გა[ი]მართება საზოგადოების დარბაზში (ცეცხოველი[ს] ქ. № 11). საბჭოთა კავშირის ფაუნის შესახებ მოხსენებას გააკეთებს დოცენტი ა. ჯანაშვილი.

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი „შუა აზიის ველებში“.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — მოწინავე — გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი.

თბილისის ოლქის მინდვრებზე.

პროდუქციის ახალი სახეები („ზარია ვოსტოკას“ ანკეტა).

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

**მეორე გვერდი** — ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა — „პრავდის“ 28-VI მოწინავე.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში — საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ პროფკავშირულ კლუბებში.

ჩვენი მძლავრი სამშობლო. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ცნობები ფაბრიკა-ქარხნებიდან.

ა. კუმარიტოვი — სოფლის ფიზკულტურელებისაგან განმარტოებით.

**მესამე გვერდი** — ლიტერატურა და ხელოვნება — ი. აბაშიძე — მე მინდა ენახო ვოლგის მხარე (ლექსი). ი. გრიშაშვილის საღამო. მაია პლისეცკაიას გამოსვლა.

პატარა ფელეტონი.

პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე — საბჭოთა მეცნიერების ხელმძღვანელი დღე.

აღმოსავლეთის ქვეყნებში. უცხოეთის ინფორმაციები.

**მეოთხე გვერდი** — დღიური — ს. დერბინი — პარიზი-რომი-დასავლეთ გერმანია. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. სადღეისო თემაზე. ნატურალისტის ჩანაწერი.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

### 30 ივნისს

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**

06.25 — ნაწყვეტები გლაზუნოვის ბალეტებიდან; 07.30 — ქართული ხალხური სიმღერები; 09.20 — სიმღერები დიდ სტალინზე და მშვიდობაზე; 11.10 — კამერული მუსიკის კონცერტი; 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები თვითმოქმედი ანსამბლების შესრულებით; 17.40 — კონცერტი მოსწავლეთათვის რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებებიდან; 18.15 — ჩაიკოვსკის სიმფონიური ფანტაზია „ფრანჩესკა და რიმინი“; 19.20 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი.

**რადიოსადგურებით 1.500 და 59.52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**

20.30 — ქალაქის ქსელით — ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის შოთა თაბუკაშვილის კონცერტი; 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები; 21.00 — საუბარი ციკლიდან: „მსოფლიო რუკასთან“—საბერძნეთი; 21.30 — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის გულნარა ქავთარაძის კონცერტი; 22.45 — ლიტერატურული გადაცემა — მიკოლა ნაგნიბედას ლექსები; 23.05 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 00.05 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ლატავრა (დილით), დაისი (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — სასტუმროს დიასახლისი (დილით და საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**—ერთ ქალაქში (დილით და საღამოს. 48-ე, 49-ე აბ.); **სომხური დრამის**—ვაგიფი (პრემიერა); **მუსიკალური კომედიის**—ჩემი გიუზელი (დილით და საღამოს); **სანკულტურის**—ჩვენი ახალგაზრდობა (საღამოს); **ფილარმონია** — ვარდი ასფურცლოვანი (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი).


**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ა. წ. 8 ივლისს დღის 2 საათზე დიდ აუდიტორიაში (ცამოს ქ. № 34/36) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ტეიუბ ისრაფილის-ძე მამედოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**К вопросу дегидрогенизации углеводородов селеном**“.

ოფიციალური ოპონენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ვ. გოგუაძე**, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი **ე. ბენაშვილი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ 1952-53 სასწავლო წლისათვის ასპირანტურაში მიღება, გარდა იმ სპეციალობებისა, რომლებიც გამოცხადებული იყო გაზეთ „კომუნისტში“ (№ 112-13-V, 52 წ.), იწარმოებს აგრეთვე **კლასიკური ფილოლოგიის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, მრეწველობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობებში.**

**ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში,**
(სასწავლო შესახვევი № 2/4), 1952 წლის 1 ივლისს საღამოს 7 საათზე სააქტო დარბაზში შედგება პროფესორ **ბ. ს. კანდელაკის** შრომის
„**საწინააღმდეგო თვისებები და ელემენტარული ურთიერთქმედების დიაგრამა**“
საჯარო განხილვა.


საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი იუწყება უხუცესი მხატვრის **გიგო ზაზიაშვილის** გარდაცვალებას.

რეზო, პელა სვანი, პასიკო მუსერიძე, სეო და იონა ნასარიძეები, სერგო, ნადია და გალინა გონგაძეები ოჯახებით იუწყებიან დედის, ძმის, რძლის, ძმისწულის. დის და დისწულის **მანიჟა და იოთამ ნასარიძეების** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VII, 6 ს. ასურეთში.

შვილები ნინო, გრიგოლ, მართა, შვილიშვილები ოთარ, გოგი, გოგი, თამარ, ეთერ, ვლადიმერ, სიძე სულიკო მაჭავარიანი იუწყებიან **მარიამ იოსების ასულ სოლოღაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VII, 5 ს. მეჯვრისხევში (გორის რაიონი).

მეუღლე ბარბალე, შვილები ანა, თამარ, ნინო, შოთა, რძალი რუსუდან, სიძეები იოსებ სულაშვილი, რევაზ შანშიაშვილი, დები დარო, ნინო და შვილიშვილები იუწყებიან მხატვარ **გრიგოლ ივანეს-ძე ზაზიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29-VI, 5 ს. ხეთაგუროვის ქ. № 9.

შვილები შალვა, ისიდორე, ტელემაკი, ვარლამ, რძლები ბარბალე, ლიზა, ნინო, სონია, მარო, შვილიშვილები ნიკიტა, ოთარ, ზუტა, ნათელა, მადონა, რეზო, გურამ, ლამარა, ნანული, კონსტანტინე წერეთლები იუწყებიან **მართა ამბაკოს ასულ წერეთლის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VII ლანჩხუთში.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსა და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02886